603/2 №14.569
ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲨᲘ:
http://www.opentext.org.ge/lelo

№ 42
(11 499)

1 – 4 ივნისი, 2001 წ.
ᲤᲐᲡᲘ 40 ᲗᲔᲗᲠᲘ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

## ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲬᲘᲜ

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ – ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ევროპის ჩემპიონატის შემდეგ იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე დინო ძოფის ჯოვანი ტრაპატონით შეცვლას, ამ ქვეყნის საფეხბურთო ექსპერტების დიდი ნაწილი მოწონებით შეხვდა. მათი აზრით, ტრაპატონის ხელმძღვანელობით „სკუადრა აძურა“ უფრო საინტერესოდ, შინაარსიანად, აგრესიულად დაიწყებდა თამაშს. უნდა ითქვას, რომ ეს აზრი მნიშვნელოვანწილად გამართლდა კიდეც.


მალდინი


ტრაპატონი


ტოტი


ტოლდო

# ᲢᲠᲐᲞᲐᲢᲝᲜᲘ – ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲢᲘᲓᲐᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲐᲛᲓᲔ

ტრაპატონის დებიუტი მწვრთნელის პოსტზე შედგა 2000 წლის 3 სექტემბერს ბუდაპეშტში უნგრეთის ნაკრების წინააღმდეგ (57 ათასი მაყურებელი). სტუმრების შემადგენლობა ასეთი იყო: ტოლდო, კანავარო, მალდინი, ნესტა, იულიანო, ფიორე (გატუზო, 80), ძამბროტა, ალბერტინი, ფ. ინძაგი, დელ პიერო (დელვეკიო, 73), ტოტი.

ეს მატჩი უნგრელებმა წარმართეს გაცილებით უკეთესად, ვიდრე მათგან მოელოდნენ. მართალია, იტალიელები ორჯერ იყვნენ წინ (გოლები 26-ე და 35-ე წუთებზე გაიტანა ინძაგიმ), საკმაოდ მოულოდნელად სამი თავდამსხმელითაც ითამაშეს, მაგრამ უნგრელები ხისტად, მკაცრად თამაშობდნენ მინდვრის შუაგულში, ასეთი ბრძოლისათვის კი ევროპის ვიცე-ჩემპიონები მომზადებულები არ აღმოჩნდნენ. ასე იყო თუ ისე, იტალიელი მიმომხილველების აზრით, მათი გუნდი უფრო ახლოს იყო გამარჯვებასთან, თუმცა ფრეც – 2-2 გასვლით მატჩში ურიგო შედეგად არ ჩაითვალა.

7 ოქტომბერს იტალიელებმა მილანში მიიღეს რუმინელები (54 297 მაყურებელი). მასპინძლების შემადგენლობა ასეთი იყო: ტოლდო, კანავარო, ნესტა, მალდინი, დი ლივიო, ალბერტინი, ფიორე (პანკარო, 55), კოკო, ტოტი, ფ. ინძაგი (დელ პიერო, 81), დელვეკიო (გატუზო, 71).

იტალიელებმა ძალიან იოლად მოიგეს ეს მატჩი ანგარიშით 3-0. სამივე გოლი პირველ ტაიმში გაიტანეს: ინძაგიმ (13), დელვეკიომ (17), ტოტიმ (42), მეორე ტაიმში კი უკან დაიხიეს და წყნარად, სრული წესრიგით იცავდნენ თავს.

ახლა კი გავიხსენოთ მომდევნო მატჩი 11 ოქტომბერს ანკონაში (26 ათასი მაყურებელი). **ᲘᲢᲐᲚᲘᲐ:** ტოლდო, კანავარო, ნესტა, ბერტოტო, დი ლივიო, ალბერტინი, ფიორე (პანკარო, 76), კოკო, ტოტი (მონტელა, 83) დელვეკიო (გატუზო, 52), დელ პიერო. **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:** გვარამაძე, სილაგაძე, ხიზანიშვილი, რეხვიაშვილი, კობიაშვილი, კალაძე, ნემსაძე, ქეცბაია (მენთეშაშვილი, 68), ქინქლაძე (ჯამარაული, 61), ყაველაშვილი, ა. არველაძე (დემეტრაძე, 61).

საყოველთაო აზრით, საქართველოს ნაკრებმა ეს შეხვედრა მასპინძლებზე უკეთ წარმართა. ამ მატჩის ყველაზე „შესამჩნევი“ ფიგურა იყო შვედი მსაჯი კარლ ერიკ ნილსენი. მეორე ტაიმში მან უსამართლოდ დანიშნა ორი პენალტი (ისინი დელ პიერომ გამოიყენა კიდეც 47-ე და 88-ე წუთებზე). როგორც მიმომხილველები წერდნენ, „ცისფერი გუნდი“ ამ შეხვედრაში „ვერაფერი ეგზამენატორი“ აღმოჩნდა, რაც თვით ტრაპატონიმაც აღიარა: „დღეს ჩვენთვის ყველაფერი კარგად დამთავრდა. ამის მიუხედავად მატჩმა დაამტკიცა, რომ კარგი შედეგის მიღწევის მიუხედავად ჩვენ მეტი მუშაობა გვმართებს“.

მსოფლიო პირველობის შესარჩევი ჯგუფის ამ სამი მატჩის შემდეგ ტრაპატონის ნაკრებმა 15 ნოემბერს ტურინში უკვე ამხანაგურ შეხვედრაში უმასპინძლა ინგლისელებს (22 714 მაყურებელი). საყურადღებოა, რომ ამ პაექრობას მაინცდამაინც დიდი ინტერესი არ გამოუწვევია, იტალიელები კი გამარჯვებით – 1-0 (გოლი 58-ე წუთზე გატუზომ გაიტანა) ძალიან კმაყოფილი დარჩნენ. მათი შემადგენლობა ასეთი იყო: ბუფონი, კანავარო, ნესტა (ადანი, 67), მალდინი (ბერტოტო, 75), დი ლივიო (ძენონი, 52), ალბერტინი (დი ბიაჯო, 52), გატუზო, კოკო, ფიორე, დელვეკიო (ს. ინძაგი), ფ. ინძაგი (დელ პიერო, 73).

2001 წლის სეზონი „სკუადრა აძურამ“ დაიწყო 28 თებერვალს ამხანაგური მატჩით რომში (20 ათასი მაყურებელი) დღეისათვის მსოფლიოში უდავოდ ერთ-ერთ უძლიერეს არგენტინის ნაკრებთან. სამხრეთამერიკელებმა სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვეს – 2-1. თუმცა 26-ე წუთზე ფიორემ გახსნა ანგარიში, მაგრამ შემდეგ კილი გონსალესმა (36) და კრესპომ (49) გამარჯვება მოუტანეს არგენტინელებს. იტალიელების შემადგენლობა: ბუფონი, კანავარო, პიერინი, მალდინი (ბერტოტო, 53), პესოტო (კოკო, 70), ტაკინარდი, ტომაზი (დი ბიაჯო, 76), ძენონი, ფიორე (ტოტი, 53), ფ. ინძაგი, ვიერი (დელვეკიო, 71). ეს იყო ტრაპატონის პირველი მარცხი იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე.

24 მარტს განახლდა მსოფლიო პირველობის შესარჩევი თამაშები. იტალიელებმა ითამაშეს ბუქარესტში (24 ათასი მაყურებელი) თავიანთ მთავარ კონკურენტებთან – რუმინელებთან და მეორეჯერ დაამარცხეს ისინი – 2-0 (ორივე გოლი ფ. ინძაგიმ გაიტანა). სტუმრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: ბუფონი, პანკარო, ნესტა, კანავარო, მალდინი, ალბერტინი, ძამბროტა, ტომაზი, ფ. ინძაგი (მონტელა, 86), დელ პიერო, ფიორე (ტაკინარდი, 62). ამ მატჩის შემდეგ მიმომხილველთა აზრით, იტალიელებმა უკვე გაინაღდეს მსოფლიო ჩემპიონატის საგზური.

სულ 4 დღის შემდეგ, 28 მარტს, ტრიესტში (14 800 მაყურებელი) იტალიელებს არ გასჭირვებიათ ჯგუფის აუტსაიდერების – ლიტველების დამარცხება – 4-0 (ორ-ორი გოლი გაიტანეს ფ. ინძაგიმ და დელ პიერომ), მასპინძლების შემადგენლობა ასეთი იყო: ბუფონი, კანავარო, ნესტა, მალდინი, კოკო, ტაკინარდი, ტომაზი, ძამბროტა, ტოტი (ფიორე, 75), დელ პიერო (დი ლივიო), ფ. ინძაგი (მონტელა, 69).

25 აპრილს იტალიელებმა გამართეს კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი პერუჯაში (30 ათასი მაყურებელი) სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნაკრებ... და გაიმარჯვეს 54-ე წუთზე მონტე...ას მიერ გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით. აი მათი შემადგენლობაც: ტოლდო, კანავარო, მატერაცი, მალდინი, ძამბროტა (პანკარო, 70), ტომაზი (დი ლივიო, 81), ტაკინარდი, კოკო, ლივერანი (ფიორე, 46), ფ. ინძაგი (კიეზა, 46). მონტელა. ადგილობრივი გულშემატკივრების „ხათრით“ ტრაპატონიმ ამ მატჩში ათამაშა ადგილობრივი, „პერუჯას“ ფეხბურთელები მატერაცი და ლივერანი (შავკანიანი, მამით იტალიელი, დედით კი სომალელი), ისე კი, უდავოდ კარგი ოსტატები!

მაშ ასე, ჯოვანი ტრაპატორის ხელმძღვანელობით იტალიის ნა..რებმა გამართა 8 მატჩი, მოიგო 6, 1 ფრედ დაასრულა და 1 წააგო.

**ᲑᲘᲕᲘ ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ**


ᲖᲖ 2000 Წ. 11 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. ᲘᲢᲐᲚᲘᲐ – ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ. ᲐᲜᲙᲝᲜᲐᲨᲘ ᲓᲔᲚ ᲞᲘᲔᲠᲝᲛ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲓᲐᲜ ᲒᲝᲚᲘ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲣᲢᲐᲜᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲐᲫᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲝᲠᲯᲔᲠ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲐ 11-ᲛᲔᲢᲠᲘᲐᲜᲔᲑᲘ.


ფილიპო ინძაგი


ბუფონი

## ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲨᲔᲣᲕᲐᲚᲘ ᲠᲝᲓᲘᲐ

გამოჩენილმა იტალიელმა მცველმა პიეტრო ვერხოვოდმა (მამით უკრაინელმა), რომელმაც „სერია A“-ში 40 წლის ასაკამდე ითამაშა და ამას წინათ გამოეთხოვა ფეხბურთს, გაზეთ „კორიერე დელა სერას“ კორესპონდენტთან ილაპარაკა „სკუადრა აძურას“ შესახებ. 12 წლის მანძილზე მან ამ ნაკრებში 45 მატჩი ითამაშა და რომ მწვრთნელ აძელიო ვიჩინისთან მწვავე კონფლიქტი არა, ოთხწლიანი პაუზა (1986-1990) არ ექნებოდა.

გავრცელებული შეხედულებების საწინააღმდეგოდ, პიეტრო ვერხოვოდი იტალიის ნაკრების ახლანდელ მცველებზე არც ისე მაღალი აზრისაა. კითხვაზე, ხედავს თუ არა ახლა ფეხბურთში „ახალ ვერხოვოდს“, ვეტერანმა ასე უპასუხა.

— მე ასეთს ვერა ვხედავ. ალესანდრო ნესტა ძალიან ძნელი და საიმედო მცველია. მაგრამ მე მისგან განსხვავებით უფრო ხშირად ვმონაწილეობდი იერიშებში, რაზეც მეტყველებს 38 გატანილი გოლი, რაც მცველისთვის ცოტა როდია. შესაძლოა, მე უფრო მგავს ფაბიო კანავარო . ნესტას და კანავაროს თუ არ ჩავთვლით, ჩვენთან ცოტაა შესანიშნავი მოთამაშე, ამასთან, მე მხოლოდ მცველებს როდი ვგულისხმობ.


ვერხოვოდი



ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 2 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

TM © 1997 SLOC 36 USC 380

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 8 თვე და 7 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

# ჩვენს სპორტულ სამყაროში

## «ლელოს» ნომრიდან ნომრამდე

**ყოველ სამ თვეში ერთხელ, ტრადიციულ შეხვედრაზე სპორტულ მასმედიასთან, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი მეძმარიაშვილმა არა მხოლოდ ბოლო სამი თვის, მიმდინარე წლის ხუთ თვეში გაწეული მუშაობის შედეგები გააანალიზა, რომელმაც ერთხელ კიდევ დაგვანახვა, რომ ჩვენს ქვეყანაში, მიუხედავად სოციალური პრობლემებისა, სპორტული ცხოვრების რიტმი არ ნელდება. ამას ყველა ხედავს. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ყველაზე უკეთ ეს კარგად დაინახონ ქვეყნის ფინანსისტებმა, რომლებიც, ვფიქრობთ, ცხადად დარწმუნდნენ თუ რა დიდი შესაძლებლობების გამოვლენა შეუძლიათ ჩვენს ათლეტებს, როცა ფინანსური მხარდაჭერაა. ამასთან, როგორც ირაკლი მეძმარიაშვილმა განაცხადა, ფედერაციებს მეტი აქტიურობა მართებთ სპონსორთა მოსაზიდად. შესაბამისი დოკუმენტი ქველმოქმედების შესახებ კი მთავრობაში მზადდება.**

**დიდი ინტერესი გამოიწვია სამინისტროებისა და უწყებების შეჯიბრებამ მინი ფეხბურთში 14 გუნდის მონაწილეობით. 29 მაისს დაჯილდოვდნენ რჩეული გუნდები. პირველობა წილად ხვდა პარლამენტისა და მერიის გაერთიანებულ ნაკრებს, რომლებმაც ფინალში კონტროლის პალატის გუნდს სძლიეს 2-1. მესამე ადგილზე გავიდა რკინიგზის დეპარტამენტის გუნდი.**

**ამ დღეებში ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში განიხილავდნენ საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ჩატარების ორგანიზაციულ საკითხებს. ეს დღე მთელ საქართველოში 18-24 ივნისს ოლიმპიური კვირეულის პროგრამით აღინიშნება.**

## უფროსებს მედლების მოხვეჭაშიც ბაძავენ

ქ. თეირანში ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ დიდ საერთაშორისო ტურნირში, თავისუფალ ჭიდაობაში, სასომხეთის, აზერბაიჯანის, თურქმენეთის, უზბეკეთის, სამხ. აფრიკის, საქართველოს და ირანის ნაკრები გუნდების 120 კადეტი მონაწილეობდა. ჩვენი გუნდიდან პირველი ადგილები მოიპოვეს რუსთაველმა გიორგი ასანიშვილმა (63 კგ), თბილისელებმა მიხეილ ჩიქოვანმა (76), და ზვიად სისაურმა (100); მესამე პრიზიორი გახდა ბოლნისელი მალხაზ ქურდიანი (54). გუნდურ პირველობაში ადგილები ასე განაწილდა: 1. ირანი, 2. საქართველო, 3. სამხ. აფრიკა. ამ ასაკში 28-30 ივნისს ევროპის პირველობა ჩატარდება თურქეთში. თეირანისათვის გუნდი მოამზადეს საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელებმა თამაზ ბენდიანიშვილმა და გია კოტიშაძემ.

## რეგიონებთან მოეთათბირეს

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა, გუშინ, პირველი გაფართოებული თათბირი ჩაატარა ქვეყნის რეგიონალური სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. განიხილეს საქართველოს მოსწავლეთა პირველი თამაშებისთვის მზადების საკითხი. თამაშები 4-24 ივნისს გაიმართება.**

ჭიდაობა ჩვენი, ქართული



# ახალი საჭიდაო დუშეთში, ანუ ქართულ ჭიდაობას გაქრობა არ უწერია...

ეს რომ ასეა, ამაში ნამდვილად დამეთანხმებიან ის გულშემატკივრები, რომლებიც დუშეთში ახალ საჭიდაო მოედანზე გამართულ შეჯიბრება-ზეიმს დაესწრო ქართულ ჭიდაობაში.

საქმე იმაშია, რომ დუშეთის ყოფილმა გამგებელმა, ჭიდაობის დიდმა მოამაგემ, ამჟამად დუშეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა უშანგ პირმისაშვილმა თავის გარშემო შემოიკრიბა რაიონის გამოჩენილი ადამიანები — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ძიუდოში — მერაბ ლოსეურაშვილი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები: ზაურ სიდამონიძე, შოთა ხერკელაძე, ვაჟა გელიაშვილი, რაიონის სამხედრო კომისარი, ყოფილი მოჭიდავე, ანზორ კელიხაშვილი და სხვები, რომლებმაც საკუთარი ხარჯებით კეთილმოაწყვეს კულტურისა და დასვენების პარკში, ულამაზეს ადგილას, საჭიდაო არენა.

შეჯიბრებას, რომელიც ახლადმოწყობილ, ნახერხმოყრილ საჭიდაოზე გაიმართა, უამრავი მაყურებელი დაესწრო. საპატიო სტუმართა შორის იყვნენ: საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის პრორექტორი, პროფესორი დურმიშხან ჩიტაშვილი, ძიუდოს, სამბოსა და ქართული ჭიდაობის ფედერაციათა გენერალური მდივნები — ანზორ მარტყოფლიშვილი, თენგიზ არაბული, იური იმერლიშვილი, წარსულში ცნობილი ფალავნები ჯემალ ნათელაშვილი, სულიკო ფეიქრიშვილი, გურამ პეტრიაშვილი, ბიძინა მოხევიშვილი და ჭიდაობის სპეციალისტები.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ნამდვილი სახალხო ზეიმი — სპორტული ღონისძიება, რომელზედაც, წლეულს, ტრადიციულად მეათედ გაათამაშეს წარსულში ცნობილი ფალავნების, აკაკი ოქროპირიძის, კარლო ხულელიძის და შალვა ნათელაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი პრიზები.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა ახალგორის, კასპის, ქარელის, მცხეთის და დუშეთის რაიონების 60-მდე ფალავანი, რომლებიც კრთმანეთს შეერკინენ ოთხ წონით კატეგორიაში.

***კვარცხლბეკი: 60 კგ:*** 1. ბექან ნანიაშვილი, 2. იაგო მიშელაშვილი (ორივე — დუშეთი); ***70 კგ:*** 1. კახა ხუბაშვილი (კასპი), 2. ზურაბ დოლონაძე (ქარელი), ***80 კგ:*** 1. ბაჩუკი თადიაშვილი, 2. კობა თადიაშვილი (ორივე — დუშეთი), ***მძიმე:*** 1. ზურაბ მუზაშვილი (კასპი), 2. მერაბ პაპაშვილი (დუშეთი);

დუშეთში გამართულმა ამ სპორტულმა ზეიმმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ საქართველოში ქართული ჭიდაობა არ მოკვდება და მანამ იარსებებს, სანამ იქნება ქართული ენა, დამწერლობა, მუსიკა, თეატრი, ფოლკლორი... აკი ამასვე ამტკიცებდა ქართული ჭიდაობის დიდი მოტრფიალე, აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი, რომელიც ამბობდა: „ქართულ ჭიდაობას მშობელ მიწაში უდგას ფესვებიო“. დიახაც, რომ თითოეული ჩვენთაგანის ვალია სათუთად მოვუაროთ ამ ფესვებს, რათა ამ ფესვებიდან, ვაჟა ფშაველას „ხმელი წიფლისა“ არ იყოს, ამოიზარდოს და გაძლიერდეს ნორჩი ყლორტები.

**იური იმერლიშვილი,**
ჟურნალისტი,
ქართული ჭიდაობის ფედერაციის
გენერალური მდივანი

**P.S. ჩემს ოპტიმიზმს კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომ ახლახან საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა და სტუდენტური სპორტის ფედერაციამ „უნივერსიადა 2001“-ის პროგრამაში სავალდებულო სპორტის სახეობად შეიტანა ქართული ჭიდაობა, რაც სასიკეთოდ წაადგება ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში და მთლიანად საქართველოში ქართული ჭიდაობის განვითარებასა და აღმავლობას.**

# სპორტული აჭარა

## მშვილდოსანთა ასპარეზობა ევროპის გრან-პრის წინ



*აჭარელი მშვილდოსნები და მწვრთნელები. მარცხნიდან პირველი ხათუნა ფუტკარაძე.*

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს მიეძღვნა აჭარის 2001 წლის თასის გათამაშება მშვილდოსნობაში. მონაწილეობდა ქ. ბათუმისა და ხელვაჩაურის რაიონის 8-8 უძლიერესი ქალი და ვაჟი.

ქალთა შორის მ-1 მრავალჭიდში აჭარის თასი დაიმსახურა საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის ლიდერმა ბათუმელმა ხათუნა ფუტკარაძემ — 1324 ქულა (330+326+324+344), რომელმაც 70 მ. მანძილზე გაიმეორა საქართველოს რეკორდი — 330 ქულა და მრავალჭიდი აჭარის რეკორდით დაასრულა. მეორე ადგილზე ასევე სეზონის საუკეთესო შედეგით 1289 ქ. გამოვიდა ხელვაჩაურელი ასმათ დიასამიძე, მესამეზე — ვეტერანი ოლღა ლადიგინა — 1276 ქულა.

ვაჟებში მ-1 ვარჯიშში აჭარის თასი მოიპოვა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ლადო ბოლქვაძემ — 1242 ქ. (291+304+312+335), მეორე, პირადი საუკეთესო შედეგით, იყო ახალგაზრდა სპორსტმენი დავით შამილიშვილი — 1223, მესამე — 15 წლის სერგო ვორონოვი — 1105. თასის გათამაშებაში მცირე ტრავმის გამო მონაწილეობა ვერ მიიღო გუნდის ლიდერმა სერგო ბერიძემ.

ეს შეჯიბრება ერთ-ერთი მოსამზადებელ ეტაპი იყო ევროპის გრან-პრის წინ, რომელიც გაიმართება 18-24 ივნისს ქ. ანტალიაში.

**სიმონ ზაქარაძე,**
აჭარის მშვილდოსნობის
ფედერაციის გენერალური მდივანი

## აჭარის პირველობა ტანვარჯიშში

***გოგონები:*** სოფიო კაკაშვილი — 40,28, ქრისტინა შვენთიძე — 38,28, ნინო ხოფერია — 34,60, მაია კოკობინაძე — 34,30, ქეთინო ბოლქვაძე — 33,50 მარი მამაგულოვა — 30, 50, ***ბიჭები:*** ირაკლი ჩიქოვანი — 53,5, გურამ სირბილაძე — 53,2, დავით აბაშიძე — 52,8, სურენ ხაჩატურიანი — 49,3, დავით სარიძე — 47,2.

***მხატვრული ტანვარჯიში. მოზრდილები:*** ლია ჯორბენაძე — 42,20, მაია მიხაილოვსკაია — 41,95, ქრისტინა ლაპკინა — 40,90; ***უმცროსები:*** ნინო ლუხუტაშვილი — 32,10, მირანდა ბოლქვაძე — 29,85, ანა თურმანიძე — 28,10.

ბათუმიდან ინფორმაცია მოგვაწოდა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა
**ტივი კოზმოვმა**

## კიკ-ბოქსინგი ქედაში

ამას წინათ, ქედაში დიდი ინტერესი გამოიწვია ვაჟა დევაძის ხსოვნისადმი მიძღვნილმა ტურნირმა კიკ-ბოქსინგში, რომელშიც აჭარისა და გურიის სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

როგორც აჭარის კიკ-ბოქსინგის და ტაილანდური კრივის კავშირის პრეზიდენტმა გელა ჩარგეიშვილმა გვითხრა, ამგვარი ტურნირი მომავალში უფრო ფართო მასშტაბით ჩატარდება და მასში საქართველოს სხვა რეგიონების სპორტსმენებსაც მოიწვევენ.

ვაჟა დევაძის სახელობის პრიზს დაეუფლა ქედელი გია ბერიძე, რომელმაც ფინალურ პაექრობაში სძლია ბათუმელ ედნარ ართმელაძეს.

აღსანიშნავია, რომ ტურნირში მონაწილეობდა ერთადერთი ოზურგეთელი გოგონა — ირმა მახარაძე, რომელმაც სპეციალისტების მოწონება დაიმსახურა, ირმამ თავის წონით კატეგორიაში რამდენიმე ვაჟი დაამარცხა. ამ ტურნირზე კარგად გამოვიდნენ ქედელი და ბათუმელი კიკ-ბოქსიორები, მათ რამდენიმე საპრიზო ადგილი მოიპოვეს.

**ოთარ მურვანიძე,**
**„ლელოს“ საკ. კორ.**

## მინისტრი პირველ ადგილზე

ბათუმში პოპულარულია შეჯიბრება სპორტულ ნარდში, შეჯიბრებებიც ხშირად ტარდება. ახლახან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროში გამართულ ტურნირში 30 საუკეთესო მონარდე მონაწილეობდა.

პირველი ადგილი დაიკავა ზემოხსენებული სამინისტროს მინისტრმა თენგიზ ბაკურიძემ, მეორე ადგილი წილად ხვდა ასევე ამ სამინისტროს თანამშრომელს, ახალბედა მონარდეს ამირან ბოლქვაძეს, მესამე იყო საქართველოს 2000 წლის ჩემპიონი ამირან სირაბიძე.

**ოთარ მურვანიძე,**
„ლელოს“ კორ., ბათუმი

## მზის საათი კუს ტბაზე

ამიერიდან, კუს ტბაზე ყოფნისას (განსაკუთრებით მზიან ამინდში) უსაათობა არავის შეაწუხებს — აქ მზის საათი გაკეთდა.

ეს ორიგინალური იდეა ახალგაზრდა მხატვარს კახი ერაძეს ეკუთვნის, ხოლო თავად იდეა, ავტორის თქმით, ბეთანიაში, იქაურ მონასტერში რამდენიმედღიანი სტუმრობისას დაიბადა; სწორედ იქ უნახავს მას ბერების მზის საათი...

— დავწერე პროექტი და სოროსის ფონდის კონკურსში მივიღე მონაწილეობა, — გვითხრა კახი ერაძემ, — პროექტმა გაიმარჯვა. შემდეგ კი, სოროსისა და თბილისის მერიის ხელშეწყობითა და დაფინანსებით, კუს ტბაზე მზის საათი გაკეთდა. მალე, კუს ტბაზე, კუს ქანდაკებაც დაიდგმება.

მზის საათით სარგებლობა საკმაოდ მარტივია: საათზე წელიწადის თვეები და რიცხვებია მინიშნებული. დადგები იმ თვესა და რიცხვზე, რომელიც არის და დროს (საათს) საკუთარი ჩრდილი მიგითითებს. ზუსტად ასე მოიქცა ვანო ზოდელავა და ჩრდილმა 2 საათი აჩვენა.

ბაზეთი „თბილისი“ 29.V.

## ხობში, ახალ სპორტდარბაზში...

ხობში ახალ სპორტდარბაზ „მართვეში“ ჩატარდა სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსწავლეთა პირველი სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სადაც პირველობისთვის ხუთი ქალაქისა და რაიონის 60-ზე მეტი მონაწილე იბრძოდა. წონით კატეგორიებში გამარჯვებულები არიან: ირაკლი ჩიქობავა, ნექტარ კვირკველია (სენაკი), აბო ხორავა (ჩხოროწყუ), გიორგი კუჭუხიძე (აბაშა), სურაჯ გვასალია, მანუჩარ ცხადაია, თამაზ გაბისონია, დავით იოსავა, გიგა ჭილაია, ალუდა ხუნჯუა (ყველა — ხობი). გუნდური გამარჯვება ხობელებმა იზეიმეს, მომდევნო ადგილები ხვდათ სენაკელ და აბაშელ მოჭიდავეებს. დაკომპლექტდა რეგიონის ნაკრები, რომელიც ფინალურ ეტაპზე გაეჯიბრება საქართველოს სხვა რეგიონების გუნდებს.

**ანზორ სანიკიძე**
ხობის რაიონის სპორტკომიტეტის
თავმჯდომარე

## მილოცვა

საქართველოს ტანვარჯიშულ სახეობათა ფედერაცია დაბადებიდან 65 წლისთავს ულოცავს ვეტერან სპორტსმენს და სპორტის ღვაწლმოსილ მუშაკს, სპორტის ოსტატს ტანვარჯიშში, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ მუ?კს, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს, ღირსების მედალოსანს ***თეიმურაზ ასათიანს.***

გამოიწერეთ ლელო

# ნახევარი საუკუნის გადასახედიდან

სპორტის ჟურნალი მსახურნი

**ქართული სპორტის მრავალგანზომილებიან ისტორიაში, თვალსაჩინო ადგილი უკავია ზოგადად სპორტულ მედიცინას, კონკრეტულად კი მის ცალკეულ დაწესებულებებს, რომლებსაც არსებობის სოლიდური პერიოდი გააჩნიათ და უდიდესი წვლილი აქვთ შეტანილი, როგორც ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა საამაყო წარმატებებში, ისე დაავადებათა პროფილაქტიკაში. ერთ-ერთ თვალსაჩინო კერას ადრინდელის სამართალმემკვიდრეს „შპს ქ. თბილისის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრს“ ახლახან 50 წელი შეუსრულდა. გვესაუბრება ცენტრის დირექტორი, დოცენტი მამუკა პირუზოვი.**



***● ბატონო მამუკა, ამ თემას პრესა იშვიათად ეხება. ამდენად, იქნებ, ისტორიის მიმოხილვით დავიწყოთ საუბარი. საიდან იწყება ათვლა?***

— გახსოვთ, ალბათ, ადრე ჩვენს ცენტრს სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ფიზკულტურის დისპანსერი ერქვა. საერთოდ, საექიმო ფიზკულტურის სამსახური სათავეს გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან იღებს. 1922 წელს თბილისში, სულ პირველად, შეიქმნა „ტანვარჯიშის საექიმო კაბინეტი“, რომელსაც 10 წელიწადი ხელმძღვანელობდა ექიმი გ. გალიცკაია. კაბინეტი ემსახურებოდა ბავშვებს, რომლებსაც ჯანმრთელობის გადახრები ალენიშნებოდათ. 1934 წელს კაბინეტი „ბავშვთა საექიმო ტანვარჯიშის დისპანსერად“ გადაკეთდა. სხვათა შორის, 1924 წელს, თბილისის ჯანდაცვის განყოფილებასთან საექიმო კონტროლისთვის 2 ექიმის შტატი გამოიყო. მოგვიანებით, 1929 წელს კი იქვე შეიქმნა საექიმო ფიზკულტურის ინსპექცია. 1925 წელს უკვე საქართველოს ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის აპარატში ექიმ-ინსპექტორის შტატი ჩნდება, ამ თანამდებობაზე პროფესორი გ. მღებრიშვილი დაინიშნა.

ომი ახალი დაწყებული იყო, როცა თბილისში, 1941 წელს, დაარსდა „საექიმო კონტროლისა და სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდური ბიურო“, რომელსაც პროფესორი ვ. კუნჭულია ჩაუყენეს სათავეში.

***● სამკურნალო ფიზკულტურამ, ალბათ დიდი სიკეთე მოუტანა დაჭრილ მეომრებს...***

— რა თქმა უნდა.

***● გავაგრძელოთ თხრობა ისტორიაზე...***

— ხსენებული ბიურო, 1947 წელს, მთავრობის და 1948 წლის დასაწყისში ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებებით, „ფიზკულტურის რესპუბლიკურ ცენტრად“ გადაკეთდა. გამგედ დაინიშნა ვ. კუნჭულია. იმავე წელს გაჩნდა კიდევ ერთი კერა — თბილისის „საექიმო ფიზკულტურის ცენტრი“, რომლის მთავარი ექიმი გახდა ა. მეტრეველი.

1950 წელს, უკვე მოსკოვში, საკავშირო ჯანდაცვის სამინისტროს ბრძანებით, ქვეყანაში საექიმო ფიზკულტურის დისპანსერების ქსელი შეიქმნა. საქართველოს 5 დისპანსერი დაუმტკიცდა, პრაქტიკულად კი 1951 წლის 12 მაისიდან შეიქმნა. ჩვენი საიუბილეო თარიღიც აქედან იღებს სათავეს.

***● სად გაიხსნა ეს დისპანსერები?***

— თბილისში ორი — რესპუბლიკური, თბილისის №1 და №2, ბათუმში — აჭარის და სოხუმში — აფხაზეთის. მოგვიანებით კი გაიხსნა ქუთაისში, სტალინირში, რუსთავში, და ზუგდიდში, მერე „დინამომ“ და „ლოკომოტივმაც“ შექმნეს საუწყებო დისპანსერები.

***● ხელმძღვანელებს ხომ არ გაიხსენებდით?***

— რესპუბლიკის მთავარ ექიმად თავიდან დაინიშნა ვ. კუნჭულია. 1953 წელს — ა. გოგოლაშვილი, 1960 წლიდან — კ. არობელიძე. თბილისის №1 დისპანსერის პირველი ხელმძღვანელი იყო ა. მეტრეველი, 1952-75 წლებში კი — პროფესორი ზ. თელია. ბათუმში 1960-75 წლებში მე ვიყავი, სოხუმში — ი. შპაკოვსკი, ქუთაისში ვ. ბერიძე, „დინამოში“ — რ. ხუნწარია, „ლოკომოტივში“ — გ. თავდიშვილი.

***● რამდენადაც ვიცით, ზ. თელია თქვენ შეცვალეთ.***

— დიახ.

***● შემდგომ ცვლილებებზე აღარ გეკითხებით. ვიცით ისიც, რომ 1975 წლიდან თქვენ დღემდე ხელმძღვანელობთ ამ დისპანსერს, მოადგილე კი კ. არობელიძეა. აბრა არაერთხელ შეიცვალა ბოლო 10 წელიწადში, მთავარია, შინაარსი ხომ იგივე დარჩა...***

— რა თქმა უნდა, შინაარსი იგივეა. მაგრამ შესაძლებლობებია განსხვავებული. თუ რატომ, თქვენც კარგად მოგეხსენებათ. თანაც, 1993 წლიდან, თბილისისა და რესპუბლიკის დისპანსერები გაერთიანდა.

***● დატვირთვა მოგემატათ?***

— წესით ასე უნდა იყოს, თუმცა...

***● გინდათ თქვათ, რომ თვითდაფინანსებაზე მყოფი შპს უფასოდ ვერ მოემსახურება კონტიგენტს, სპორტულ ორგანიზაციებს კი სახსრები არ გააჩნიათ?***

— მდგომარეობა 1999 წლიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ა. ჯორბენაძის და ამ სამინისტროს საზოგადოებრივი დაცვის დეპარტამენტის უფროსის რ. ურუშაძის გულისხმიერებით ფედერალური პროგრამა დაგვიმტკიცდა და საქართველოს ეროვნული და ოლიმპიური ნაკრეთი გუნდების სამედიცინო უზრუნველყოფისთვის დაფინანსება გამოიყო. დიდი მადლობა ამისთვის. პროგრამა გრძელდება, რომელიც სპორტსმენთა ყოველწლიურ ორჯერად გაღრმავებულ სამედიცინო გამოკვლევას, საექიმო-პედაგოგიურ მეთვალყურეობას, კონსულტაციებს და მკურნალობას ითვალისწინებს. ცხადია, ამ დაკვეთამ გააუმჯობესა ცენტრის სამედიცინო პერსონალის ფინანსური მდგომარეობა.

***● კარგია, რომ გამოცდილი სპეციალისტები დასაქმდნენ. ისინი ყველა დროში იყვნენ და სპორტსმენთა არაერთი თაობისთვის გაუწევიათ დახმარება. რაკი ჩვენი შეხვედრა იუბილესთან დაკავშირებით შედგა, იქნებ გავიხსენოთ ისინი...***

— პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელო თბილისის ბავშვთა №2 დისპანსერი, რომლის კოლექტივს დიდი წვლილი აქვს შეტანილი ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების სამედიცინო უზრუნველყოფაში. სხვადასხვა დროს ამ დისპანსერს ხელმძღვანელობდნენ გ. მეძმარიაშვილი, თ. ქორქოლაძე, თ. ქუთათელაძე, გ. იაშვილი, დღეს — გ. მაჩაბელი.

მოწიწებით მინდა ჩამოვთვალო სპორტსმენთა თაობების ცნობილი სპეციალისტები: თ. ჭანიშვილი, თ. ლეჟავა, დ. პეტრიაშვილი, ც. თელია, ც. კვარაცხელია, მ. თელია, მ. მინდიაშვილი, ნ. კვირკველია, ნ. ბაქრაძე, ფ. მხეიძე, დ. ქავთარაძე, შ. კვიცარიძე, ც. შარაშიძე, ც. ფხაკაძე, ი. ნასკოვა, გ. სარალიძე, ლ. კაპცოვა, ქ. ანდღულაძე, ზ. ჯოხიძე, რ. ობოლაძე, ვ. საკანდელიძე, ა. ლონლაძე, ნ. კენჭაძე, თ. რცხილაძე, ქ. გაბარაევა, მ. სვანაძე, ვ. ციციშვილი, ლ. ფიჩხაძე, ნ. ფერაძე, კ. პეტროსოვა.... მაპატიონ, ყველას ჩამოთვლა ერთ საგაზეთო წერილში შეუძლებელია. ბევრი მათგანი დღესაც მუშაობს.

აქვე მინდა გითხრათ იმ დიდ მეცნიერულ და პრაქტიკულ საქმიანობაზე, რაც დაკავშირებულია საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სპორტული მედიცინისა და სამკურნალო ფიზკულტურის კათედრებთან და მათ ხელმძღვანელებთან. ესენია, პროფესორები: გ. მღებრიშვილი, ვ. კუნჭულია, ა. ზოიძე, რ. სვანიშვილი, დ. წვერავა, ზ. კოვზირიძე, ზ. თელია, გ. იაშვილი და მათი თანამშრომლები. აწ. გარდაცვლილების გახსენებასთან ერთად, მადლობას იმსახურებს ყველა, ვინც დღესაც მხარში უდგანან საქართველოს სპორტსმენებს.

ესაუბრა
თ. თომაშვილი

# სად არის მაშველი რგოლი?

## ანუ იმის შესახებ, თუ როგორ გავაფანეთ წყალს სპორტის საწყლოსნო სახეობები

ცურვის მასობრივი შესწავლა პირდაპირ კავშირშია დიდი სპორტისთვის, კერძოდ, ცურვაში, სინქრონულ ცურვასა, წყალში ხტომასა და წყალბურთში ყმაწვილობაშივე მომავალი ოსტატების გამოსავლენად. ცურვაში, წყალში ხტომასა და წყალბურთში ოლიმპიური მედლებიც გვაქვს მოპოვებული. სპორტსმენები იზრდებოდნენ თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში. მართალია, თბილისის გარდა, ყველგან არ იყო ოლიმპიელთა მომზადების შესაძლებლობა, მაგრამ ნიჭიერთა შერჩევის უტყუარი ალღოთი დაჯილდოებული გამოცდილი მწვრთნელები, თავიანთ შეგირდებს მუდამ უშურველად ულოცავდნენ გზას დედაქალაქში.

დღეს აღარ მუშაობს საცურაო აუზები, უსაქმოდ დარჩნენ მწვრთნელები, იშვიათი გამონაკლისის გარდა. ვინც შემორჩა, 32 თვეა ხელფასი არ მიუღია. არადა, მართლაც ბრწყინვალე თაობა მოდის, სპორტის წყალთა სახეობები კი ერთეულებისთვის თუა ხელმისაწვდომი. მარტო ცურვაში 160 შტატიანი მწვრთნელი მუშაობდა საქართველოში, დარჩა – 20. ეს შეფარდება თავისთავად მეტყველებს თუ რა ვითარებაა ცურვაში, სხვა საწყლოსნო სახეობებზე აღარაფერს ვამბობთ. თუმცა, ვთქვათ: წყალში ხტომაში მამა-შვილი ალექსანდრე და ირაკლი ბართაიები რომ არა, სპორტის ეს სახეობა, ჩვენში საბოლოოდ დასამარდებოდა. ეს ორი ენთუზიასტი ინარჩუნებს ტრადიციების მემკვიდრეობითობას. თითქმის ანალოგიური ვითარებაა წყალბურთში, თუმცა თბილისის მერიის ზრუნვით, საქმე საგრძნობლად გამოსწორდა – „ლაგუნა-ვერეს“ კომპლექსში ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლა გაიხსნა.

გვაქვს თუ არა უფლება, სპორტის წყალთა სახეობები მოვიძულოთ და უარვყოთ? რა თქმა უნდა, არა და ამის გამართლების მრავალი მიზეზი არსებობს, რომლებზედაც წინა წერილებში გვქონდა ლაპარაკი.



საქართველოს პირველობა კალათბურთში 1988 წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის მოიგო „მართვემ“, რომელმაც ფინალში კალათბურთის აკადემიის გუნდს სძლია — 73:57 (ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.)

არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის ენთუზიაზმი, რაც ჩვენში ქალთა წყალბურთმა გამოიწვია. ეს არც თუ შორეულ წარსულში იყო. გაიხსენეთ გოგონათა გუნდი, რომელიც საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონატის პირველი ჩემპიონი გახდა ქალთა შორის.

ბევრი მითქმა-მოთქმა მოჰყვა წყალბურთელთა ეროვნული ნაკრების დაშლას.

ამას უკვე ვაჟებზე მოგახსენებთ. ბევრს ეს ნაბიჯი გაუმართლებლად მიაჩნდა, მაგრამ დრომ გვიჩვენა, რომ ახალგაზრდებზე ყურადღების გადატანა გამართლებული იყო. თანაც არანაირი ფინანსური შესაძლებლობები. წლების მანძილზე ოთხივე საწყლოსნო სახეობის დაფინანსება 20 ათას ლარს არ ასცილებია. ეს ნამდვილად წვეთია ზღვაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნაკრებს ხომ შენახვა უნდოდა. ხოლო ახალგაზრდები რომ საიმედო გვეზრდება, ეს არაერთხელ დაამტკიცეს ჩვენებმა რუსეთისა და უკრაინის პირველობებში. მომავალი ეროვნული ნაკრების საიმედო კონტურებიც უკვე ისახება. ისე, ცნობისთვის: წყალბურთში ე[illegible] გუნდის შენახვას შეჯიბრებებში მონაწილეობით, მინიმუმ 200 ათასი დოლარი ესაჭიროება წელიწადში. დასკვნა თქვენთვის მოგვინდვია.

ვკარგავთ წყალში მოხტუნავეებს, ისინი საზღვარგარეთ ემზადებიან, იქ სხვები გვიმართავენ ხელს, ოჯახებშიც აცხოვრობენ, ჩვენ კი შეჯიბრებებზე მათი გასამგზავრებელი გზის ფული ვერ გვიშოვნია. „პოსლეზე“ კი სპორტსმენები არაერთხელ „გადააგდეს“ და არა მხოლოდ წყალში მხტომელები.

*დასასრული.*

*დასაწყისი იხ. „ლელო“ №41*

თავისუფალი ჭიდაობა საერთაშორისო ტურნირი

# დავით ბიჩინაშვილი საქართველოში ბრუნდება

დავით ბიჩინაშვილის სპორტულ მიღწევებს კარგად იცნობს მსოფლიო საჭიდაო სამყარო. იგი ჩვენთან დაოსტატდა – თბილისის მერიის ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლაში. ბოლო წლებში ეს ფალავანი უკრაინის სპორტულ ღირსებას იცავდა, ახლა კი სამშობლოში დაბრუნება გადაუწყვეტია. სწორედ ხსენებული სპორტული სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობდნენ ამ დღეებში ძერჟინსკში გამართულ კადეტთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში.

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის შოთა კოტორაშვილის აღსაზრდელებმა შინ 8 მედალი ჩამოიტანეს, აქედან 2 ოქროსი, 3 ვერცხლისა და 3 – ბრინჯაოსი. ტურნირში გამარჯვებულებია: ლაშა გაგაშვილი (26 კგ) და კახა კოტორაშვილი (50), მეორე პრიზიორები – ყარამან მამსირაშვილი (32), თორნიკე ჯარიაშვილი (87) და ბუჭა დეკანოიძე (42), ბრინჯაოს მედალოსნები – იაშა ღონღაძე (35), გიორგი ბაკურაძე (47) და ზაქრო მამსირაშვილი (54). ტურნირში მონაწილეობა თბილისის მერიის სპორტის, სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის ხელმძღვანელთა ხელშეწყობით გახდა შესაძლებელი.



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო ბიულეტენი

# საქართველო – იტალია

# მოძალებული პრობლემებით

დღეს, ცხრის თხუთმეტ წუთზე ვახტანგ კოპალეიშვილის ხელმძღვანელობით ახალგაზრდული ნაკრები პირველ ოფიციალურ მატჩს გამართავს იტალიელ თანატოლებთან. გუნდი მატჩისთვის რუსთავში „ფოლადის" სტადიონზე ემზადებოდა. ნაკრებში ერთი ცვლილებაა. ოლიმპიელი ლევან მელქაძე ეროვნულ ნაკრებს შეუერთდა, ახალგაზრდულის რიგები თბილისის დინამოელმა ალექსანდრე ჩივაძემ შეავსო. ნაკრებში კარგი განწყობაა, ფეხბურთელთა ფიზიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი, საბედნიეროდ, ტრავმირებული არავინაა. გუშინ გუნდმა ბოლო ვარჯიში ჩაატარა, რუმინეთ-იტალიის მატჩის ვიდეოფირიც გაარჩიეს მწვრთნელებმა და ფეხბურთელებმა. დღეს მეტოქესაც დააკვირდებიან, იტალიელთა ვარჯიშს დაესწრებიან.

ეროვნულ ნაკრებს პრობლემა პრობლემაზე ემატება. კალაძის ძმის ირგვლივ ვითარება კვლავ დაძაბული და გაურკვეველია. შეძლებს თუ არა კახა სტრესის დაძლევას და მატჩში მონაწილეობას, ესეც გაურკვეველია. წინ რთული მატჩია და გუნდში სასურველი კლიმატის ალსადგენად ნაკრების თავკაცებს კიდევ ერთი დღე რჩებათ. ვერ ითამაშებს ქინქლაძე, კლუბთან დაკავშირებულმა პრობლემებმა ჰოლანდიაში შეაყოვნა შოთა არველაძე, რეხვიაშვილს მუხლი აწუხებს. ყოველივეს თან ერთვის საგადასახადოს მიერ სფფ-ს ანგარიშის დაყადაღება. რაც ერთი-ორად ართულებს ისედაც დაძაბულ ვითარებას ეროვნული ნაკრების გარშემო. ისევ მწვრთნელების პროფესიონალიზმისა და ფეხბურთელთა თავდადების იმედი გვაქვს, რაც ახალგაზრდულ ნაკრებს ნავსს გაატეხვინებს და შესარჩევ ციკლში გუნდს პირველ ქულებს მოაპოვებინებს. ეროვნული კი ქულათა მარაგს შეივსებს.

სტუმართა გუნდები წუხელ ჩამოვიდნენ თბილისში. იტალიელთა ეროვნული ნაკრები დღეს „შევარდენზე" ივარჯიშებს 18 საათზე. ახალგაზრდული — 13 საათზე.

დღევანდელ მატჩში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ღირსებას 18 ფეხბურთელი დაიცავს: გიორგი ლომაია, მირზა მერლანი; ოთარ ხიზანეიშვილი, ედიკ საჯაია, ჯაბა მუჯირი, იოსებ დევიძე, ოლეგ გველესიანი, ვლადიმერ კაკაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე; ლევან კორღალიძე, დავით დიღმელაშვილი, მალხაზ ასათიანი, ლევან გვაზავა, ლაშა ნოზაძე, ვლადიმერ ბურდული, გივი კვარაცხელია, გრიგოლ იმედაძე, ლადო ახალაია.

***ლევან კალაძის გაუჩინარების შემდეგ რედაქციაში კალაძეების ოჯახის მხარდამჭერი უამრავი წერილი და ფაქსი მოდის, ხშირია ტელეფონის ზარი. ჩვენ განგებ ვიკავებთ თავს მათი გამოქვეყნებიდან, იმ მიზეზით, რომ ზედმეტი დაძაბულობა და ემოციები საქმეს არ წაადგება. სარედაქციო ფოსტის უკეთეს ანალიზს კი ვერც ჩვენ გავაკეთებდით, ვიდრე ეს თ. სულაქველიძის საფეხბურთო აკადემიის აღსაზრდელმა, თბილისის კლასიკური გიმნაზიის XI კლასის მოსწავლემ ვახტანგ ბერიძემ შემოგვთავაზა. ფაქტობრივად, ეს არის ღია წერილი კახა კალაძისადმი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.***

# „დაამარცხე და გაიმარჯვებ"

ბატონო კახა, გამოვთქვამ აღშფოთებას და გულითადად გითანაგრძნობ ძმის გატაცების გამო, როგორც ჩანს: ყველა აღმართს დაღმართი მოსდევს. თქვენს დიდ აღიარებასა და იტალიაში „გრანდებთან" თამაშს განსაცდელი და მღელვარება მოჰყვა. საქართველოში, დღეს უკიდურესად გაჭირვებულმა ცხოვრებამ და საზოგადოებაში უკონტროლობამ, ცალკეულები აიძულა გადაედგათ „ლეკიანობისა" და „დიდი თურქობის" ხანის ნაბიჯები: გაეტაცათ ქართველი, ფულის შოვნის მიზნით. ეს იგივეა, რაც შუა საუკუნეებში ქართველთა ხელშეწყობით, ქართველი გოგო-ბიჭების ბედ-იღბლის განწესება უცხო ქვეყნების ბაზრებზე გასაყიდად.

მაღალი ღმერთი მოწყალეა. ღვთის შეწევნით არც მაშინ დაღუპულა ქართველი ერი და არც ახლა დაიღუპებით კალაძეები. თქვენი გვარი ხომ სიმაგრიდან მოდის. პირადად თქვენ ხომ რკინისებური შრომით მიაღწიეთ ყველაფერს, შრომითა და ვარჯიშით „მოკალეთ" ახალგაზრდული სიზარმაცე, უსწავლელობა, უშრომველობა. დღეს ასე ამბობენ: თითქოს თქვენ 2 ივნისს — იტალიის ნაკრებთან არ ითამაშებთ.

ჩემი — ჭაბუკური გაგებით მიმაჩნია, რომ ეს არ მოხდება. პირიქით, უნდა ითამაშოთ და დაამტკიცოთ, რომ დიდი კაცი ხართ, დიდი სულით. დღეს, მთელი საქართველო თქვენ გითანაგრძნობთ და შემოგყურებთ, თქვენ უნდა დარაზმოთ ბიჭები და ისე უნდა ითამაშოთ, როგორც არასდროს. თერთმეტმა ქართველმა უნდა დაამარცხოთ თერთმეტი იტალიელი. გაიხსენეთ ჩვენი ისტორიული წარსულის უთანასწორო ომები.

კახა კალაძის დიდგორი 2 ივნისს უნდა შედგეს!

არ მათამაშებენ, თორემ მეც თქვენთან ერთად ყველაფერს გავიღებდი იტალიელებთან გასამარჯვებლად, რათა ამით საერთაშორისო მასშტაბით ქართველთა მიერ ქართველის გატაცების სირცხვილი დაიჩრდილოს. გაათკეცებული ენერგიით ეკვეთეთ მოწინაალმდეგეს და გაიმარჯვეთ! იქნებ ამ გამარჯვების შემთხვევაში გამტაცებლებშიც აღმოჩნდნენ სულით ძლიერნი და ძმა უვნებლად და უპირობოდ დაგიბრუნონ. იქნებ კალაძეებით დაიწყოს ქართველთა სულიერი ერთიანობისა და ღვიძლი ძმობის „მოკალვის" პროცესი.

გაუმარჯოს ქართველთა უძლეველ სულს, გაუმარჯოს საქართველოს ნაკრების გამარჯვებას,

ღმერთის წყალობა ლევანს და მის უპირობო დაბრუნებას.

დაამარცხეთ მოწინაალმდეგე და უფალი მოგცემთ ოჯახურ და ეროვნულ გამარჯვებას!

აკადემიის 300 ფეხბურთელი თქვენს გვერდით ვართ!

**ვახტანგ ბერიძე**

თ. სულაქველიძის სახელობის ბავშვთა საერთაშორისო საფეხბურთო აკადემიის ფეხბურთელი, ქ. თბილისის კლასიკური გიმნაზიის XI კლასის მოსწავლე.

2001 წლის 30 მაისი, ქ. თბილისი.

# „თამაში შედგება, ლეგიონერების ითამაშებენ"

ასეთი კატეგორიული იყო დავით ყიფიანის პასუხი შეკითხვაზე, რომელიც ნაკრებში ლეგიონერთა თამაშს ეხებოდა. სხვანაირად, არც შეიძლება ყოფილიყო. „ოჯახის ტრაგედია სპეკულაციის საგანი არ უნდა გახდეს. სწორედ თავდადება და კარგი თამაში იქნება კახასადმი თანადგომის საუკეთესო გამოხატვა" — ხაზი გაუსვა დავით ყიფიანმა.

გუშინ ეროვნული ნაკრების ვარჯიშამდე ეროვნულ სტადიონზე გუნდის მწვრთნელებმა პრესკონფერენცია გამართეს. მიუხედავად დამუხტული ვითარებისა, მწვრთნელთა და ჟურნალისტთა შეხვედრა მატჩის წინ, ვფიქრობთ, ორივე მხარისთვის სასარგებლო იყო. ერთიც და მეორე მხარეც ამ შეხვედრამდე საერთო სატკივარმა მიიყვანა. იყო რეპლიკებიც, პოლემიკაც, ხმამაღალი საუბარიც, მაგრამ ერთია: ეროვნული ნაკრების დღევანდელი მდგომარეობა, უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ, ყველას აინტერესებდა. პრესკონფერენციის მთავარი თემა, აქტუალურობიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, კალაძის ძმის გატაცების ფაქტი იყო. არც ყიფიანს, არც ძოძუაშვილს არ დაუმალავს ნაკრების წამყვანი ფეხბურთელის სულიერი ტრავმა, რომელიც ხშირად ფიზიკურზე ძლიერი და დამთრგუნველია, ეს სიტუაცია კი ნაკრების მთელ შემადგენლობაზე მოქმედებს. „თუ რამდენად იმოქმედებს ყოველივე ფეხბურთელებზე და როგორ აისახება ეს თამაშის ხარისხზე, მატჩის შემდეგ ვნახავთო" — განმარტეს მწვრთნელებმა. პრესკონფერენციამ დიდხანს გასტანა. ნაკრების თავკაცებს მასმედია ფეხბურთელთა ჯანმრთელობაზე დაეკითხა, წვრთნის დაწყებამდე ტრავმების შესახებ გუნდის ექიმსაც გავესაუბრეთ. ნაკრებში საერთო ვითარება ასეთია: გიორგი ქინქლაძის გარდა, ყველა მწყობრშია, თუმცა გუშინ გიორგიმ ფეხბურთელთა საერთო ჯგუფში ივარჯიშა, მაგრამ იტალიასთან მისი გამოყვანა მოედანზე, ალბათ მაინც გაუმართლებელი იქნება. ტრავმა სერიოზულია და ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს. მომჯობინდნენ კობიაშვილი, რეხვიაშვილი და აჩიკო არველაძე. აჩიკოს ტყუპისცალი გუნდს ნაშუაღამევს შეუერთდა.

პრესკონფერენციაში მონაწილეობდნენ მურთაზ ხურცილავა, სერგო კუტივაძე და ჯონი ჯანელიძე. მათ სიტყვებში ერთი პათოსი იგრძნობოდა — ერთმანეთს უკეთ მუშაობისთვის პირობები უნდა შევუქმნათ, გაჭირვებისას თუ დალხინებისას ერთად დგომა, საერთო სულისკვეთებაა წარმატების უპირველესი საფუძველი.

მოკლედ, ეროვნულ გუნდს გადამწყვეტი მატჩის წინ, უწინარესად, გამხნევება სჭირდება, რის საწინააღმდეგო არც ჟურნალისტებს, თავისთავად, არც მწვრთნელებს და ფეხბურთელებს არაფერი აქვთ. წინსვლის შანსი კიდევ არის და იგი უნდა გამოვიყენოთ.

**საბა ლომინაძე**



*საქართველოს ნაკრების წევრები წვრთნისას*

## XIII ეროვნული ჩემპიონატის პირველი კონტურები

29 მაისს, სფფ-ში მომავალი ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდების წარმომადგენლები მიიწვიეს. ჩატარდა კალენდრის დადგენის აუცილებელი პროცედურა. კენჭისყრამ კლუბები შესაბამისად დანომრა და პირველ ტურში დააწყვილა. XIII ეროვნული ჩემპიონატი სავარაუდოდ, 28 ივლისს დაიწყება, პირველი ეტაპის, პირველი წრის პირველ ტურში ერთმანეთს შეხვდებიან:

ტორპედო (ქუთაისი) – ლოკომოტივი (თბილისი)

კოლხეთი 1913 (ფოთი) – სამგურალი (წყალტუბო)

გურია (ლანჩხუთი) – მერანი91 (თბილისი)

სიონი (ბოლნისი) – დინამო (თბილისი)

გორდა (რუსთავი) – ვიტ ჯორჯია (თბილისი).

დინამო (ბათუმი) – მეტალურგი (ზესტაფონი)

*ჩემპიონატის ძირითადი კონტური, უმაღლესი ლიგის კალენდარი თითქმის ცნობილია.*

## ზუგდიდის „ლაზიკა" I ლიგაში

ზუგდიდი საფეხბურთო ტრადიციების ქალაქია, მაგრამ ბოლო ათწლეულში ქვეყანაში შექმნილმა ვითარებამ თავისი უარყოფითი კვალი ამ ტრადიციებსაც დაამჩნია. ზუგდიდის „დინამოს" მემკვიდრე „ოდიში" ფინანსური სიდუხჭირის გამო დაშლის პირას მივიდა და ჯერ უმაღლეს ლიგას, შემდეგ პირველ ლიგას გამოეთხოვა. ფაქტობრივად, ზუგდიდი უგუნდოდ დარჩა. ამის შემდეგ აქ შეიქმნა რეგიონალურ ლიგაში მოასპარეზე ოთხი გუნდი, „დინამო" კი პირველ ლიგას დაუბრუნდა. „მეგრი" მესამე ადგილზე გავიდა, „ლაზიკა" – მეხუთეზე. შემდეგ „ლაზიკას" სათავეში ჩაუდგა მთავარი მწვრთნელი ბესო შეროზია. გუნდს „მეგრიდან" დაიმატა 6 ფეხბურთელი და მთავარმა მწვრთნელმა ახალგაზრდული, ბრძოლისუნარიანი გუნდი შექმნა. „ეს არ იყო ერთ წელზე გათვლილი, ერთწლიანი გუნდების ბედი კარგად მოგეხსენებათ. ჩვენ 3-4 წლიანი პროგრამა დავისახეთ და ადგილობრივი ფეხბურთელებით გუნდი ქართული ფეხბურთის ელიტას დაუბრუნდა" – განაცხადა ჩვენთან საუბარში ბესო შეროზიამ.

„ლაზიკას" პრეზიდენტმა გია კანკიამ და ვიცე-პრეზიდენტმა გავროშ ჯიქიამ ყველაფერი გააკეთეს, რომ გუნდს ნორმალური საწვრთნელი ბაზა ჰქონოდა. მართალია, პირველ წრეში გუნდი ორჯერ დამარცხდა საკუთარ მოედანზე, ერთი მატჩი კი ფრედ დასრულდა, მეორე წრე გუნდმა აღმავლობით დაიწყო. გალის „მზიურთან", და წალენჯიხის „სქურთან" პრინციპულ მატჩებში გამარჯვებამ „ლაზიკას" რწმენა შემატა. 11 მატჩიდან 10 მოგება და 1 ფრე, ბურთების შეფარდება 70:29, აქედან 30 ბურთი გიორგი ქარჩავამ გაიტანა, ყველას დაამახსოვრა თავი აგრეთვე დებიუტანტმა პაატა ბაკურაძემ და მცველმა ომარ გვაზავამ. მათ თითქმის ყველა თამაში მაღალ დონეზე ჩაატარეს. მთავარი მწვრთნელის მიზანია ძირითადი ბირთვის შენარჩუნება, ვარაუდობენ, რომ დაიმატებენ კიდევ 3-4 ფეხბურთელს და გუნდიც უფრო გაძლიერდება. ცხადია, ქალაქის ხელმძღვანელობისგან ფინანსური მხარდაჭერის იმედიც აქვთ.

„მინდა ვისარგებლო შემთხვევით და „ლელოს" საშუალებით კმაყოფილება გამოვხატო იმერეთის რეგიონული ფედერაციის მიმართ, რომელმაც კარგად ჩაატარა ჩემპიონატი, მადლობა მსაჯებსაც, რომლებმაც მიუკერძოებლად იმსაჯეს მატჩები".

ახლა კი გაგაცნობთ „ლაზიკას" შემადგენლობას, რომელიც დასავლეთ ზონის რეგიონალური ლიგის ჩემპიონი გახდა და საქართველოს ჩემპიონატში ახალი სეზონიდან I ლიგაში ითამაშებს. ესენია: ზაალ ბულია, მამუკა ნაყოფია, ადამ ნაყოფია, ირაკლი ფიფია, ომარ გვაზავა, თენგიზ თოდუა, ირაკლი ქარჩავა, ირაკლი მებონია, ჯაბა ჯაბუა, ვლადიმერ ჯოჯუა, პაატა ბაკურაძე, გია თოდუა, კობა ჭეჟია, ირაკლი ნადარაია, იაგო მებონია, ლაშა გულორდავა; მთავარი მწვრთნელი ბესო შეროზია, მწვრთნელი როინ ტიბუა.

**ბელა ნაჭყებია,**

„ლელო"-ს კორ. სამეგრელოს რეგიონში

# სწორუპოვარი

**30 მაისს გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელი სლავა მეტრეველი 65 წლისა გახდებოდა. გთავაზობთ ნაწყვეტებს გამოსაცემად გამზადებული ნუგზარ მჭედლიშვილის წიგნიდან „ვარსკვლავები“, რომელშიც, სხვა გამოჩენილ ფეხბურთელებთან ერთად, სლავა მეტრეველზეც არის მოთხრობილი.**

### სლავა მეტრეველი

1964 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის წინ, როცა დიდი ფეხბური დატოვა უბადლო ცენტრფორვარდმა ზაურ კალოევმა და ნალჩიკიდან მოწვეულმა ალექსანდრე აფშევმა ხმა ვერ აუწყო დინამოელთა საფეხბურთო ანსამბლს, მათ თამაშის სტილსა და საერთოდ მაღალი კლასის ფეხბურთს, გავრილ კაჩალინმა ყველასათვის მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო — თავდასხმის ცენტრში სლავა მეტრეველი დააყენა და შეტევის წინა ხაზის ოთხეული ასე განსაზღვრა: ილია დათუნაშვილი, ვლადიმერ ბარქაია, სლავა მეტრეველი და მიხეილ მესხი. სლავა უნაკლოდ შეეთვისა ახალ ადგილს, შესანიშნავად აუღო ალღო ახალ ფუნქციას.

დაახლოებით თოთხმეტი-თხუთმეტი წლის წინათ, მაშინ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ტარდებოდა, თბილისში, შინ დავურეკე სლავას და „დინამოს“ სტადიონზე, საკავშირო პირველობის მატჩზე ერთად წასვლა შევთავაზე. დამთანხმდა. დათქმულ დროზე მის სახლთან ახლოს (ყოფილი კამოს ქ. №2, ახლა უზნაძის ქ.) გრიბოედოვის ძეგლთან შევხვდით ერთმანეთს. უმანქანოდ მოვიდა. ჩემი სამსახურის მანქანაც გამაშვებინა, ფეხით გავიაროთო, მითხრა და პლეხანოვის პროსპექტით სტადიონისკენ მიმავალ გზას გავყევით. საოცრად ხალისიანი კაცი იყო, უაღრესად ალალი, თავმდაბალი, თითქოს გულგრილიც კი, მეტად პოპულარული საკუთარი პერსონის მიმართ.

თბილი, მზიანი, ლამაზი თბილისური დღე იდგა. ხალხმრავალ, თბილისელთა საყვარელ პროსპექტზე მიმავალ ფეხბურთის ვალმოხდილ რაინდს, ქუჩაში მოსიარულეთა მადლიანი სითბო და სიყვარული მიაცილებდა. მე, მის გვერდით მიმავალი, ამას კარგად ვგრძნობდი და ვხედავდი.

სტადიონის სიახლოვეს, გულშემატკივრები, თითქოს მის გამოჩენას ელოდნენო, მისკენ დაიძრნენ, ჯერ ერთხმად იყვირეს: „სლავა! სლავა!...“, შემდეგ ეცნენ, გადაკოცნეს და ჰაერში აისროლეს. ყველა ასაკის გულშემატკივარი იყო გარეული ამ ჯგუფში: იყვნენ ახალგაზრდებიც, უწვერულნიც — სლავას თამაში საერთოდ რომ არ ენახათ და მხოლოდ გადმოცემით იცნობდნენ; იყვნენ ჭარმაგნიც, ბორის პაიჭაძიდან მოყოლებული ათასგზის ოვაცია და ოხვრა რომ ჰქონდათ აღვლენილი სტადიონის ტრიბუნებზე.

ხალხი დაოკდა. სლავა ძირს დაუშვეს. მან კი, მორცხვად გაიღიმა, სახეზე ოდნავ წამოწითლდა კიდეც, ტანსაცმელი შეისწორა და რომ იცოდა მარცხნივ, ოდნავ გადახრილი, ოდნავ წამოქცეული სიარულით სტადიონის შესასვლელისკენ გაემართა.

ახლა სხვა ჯგუფმა იფეთქა, ატყდა ტაშის ცემა და შეძახილები. იმ „სხვას“ კიდევ „სხვა“ შეუერთდა და ასე შეაცილეს იგი სტადიონზე.

პუბლიკამ კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ქართული ფეხბურთის ლეგენდას, თავის დროზე მისი უდიდესი ოსტატობისა და თავგანწირვის გამო.

იმხანად თბილისის „დინამო“ ძალზე უფერულად და ფერმკრთალად ასპარეზობდა და რა მიხვედრა უნდოდა, დიდ ფეხბურთს მონატრებული გულშემატკივრები ნოსტალგიურ სიყვარულს რომ ამჟღავნებდნენ. მაშინ, აბა საიდან უნდა გვცოდნოდა, რომ თბილისის „დინამო“ და საერთოდ, ქართული ფეხბურთი ისე დაჩანაკდებოდა, მაშინდელი ფეხბურთიც კი მოსანატრებელი გაგვიხდებოდა.

მე და სლავა ჩრდილოეთის ტრიბუნის ერთ-ერთ კუთხეში მოვკალათდით, სტადიონზე ხალვათობა იყო. ჩვენ თითქმის მარტონი აღმოვჩნდით. მაშინ გავახსენე სლავას სამოცდაოთხი წლის სეზონში მისი მარჯვენა ფრთიდან თავდასხმის ცენტრში „გადაბარგების“ შესახებ. აი, რა მიამბო მან:

— ერთ-ერთი ვარჯიშის დამთავრების შემდეგ, გავრილ კაჩალინმა თავისთან, ერთ-ერთზე მიმიხმო და თბილი და ღიმილიანი კილოთი, როგორც მას სჩვეოდა, მითხრა: სლავა, მე და შენ სიურპრიზი უნდა მოვუმზადოთ მოწინააღმდეგე გუნდებს, მაყურებელს, თვით დინამოელებს — ცენტრალურ თავდამსხმელად უნდა გადახვიდე, დროებით უნდა გამოეთხოვო შეტევის მარჯვენა ფლანგს და ცენტრფორვარდობა იკისრო. ა. აფშევის შემყურე ჩემპიონები ვერ გავხდებით, — სწორედ ასე დამაჯერებლად მითხრა, — არადა, ახლა როგორც არასდროს, დიდი შანსი გვაქვს, რომ ოქროს მედლები მოვიპოვოთ. შენთვის ეს ამპლუა ახალი იქნებ არც იყოს, — განაგრძო ღიმილით გ. კაჩალინმა, — შენ ხომ ფეხბურთის თამაში ცენტრალურ თავდამსხმელად დაიწყე...

გავოცდი, მეტად გაკვირვებულმა შევხედე მწვრთნელს, მაგრამ წინააღმდეგობა არ გამიწევია. გონებაში ერთი რამ გავიფიქრე:

— გავრილ დიმიტრის ძემ უკეთ იცის ამჟამად სად უფრო გამოსადეგი ვარ, ცენტრში თუ ფრთაზე: თუ ვერ მოვერიე ახალ ადგილს, მარჯვენა ფრთა სად წამივა, ჩემს ხელში არაა? — გავიფიქრე მხოლოდ. თქმით კი, არაფერი მითქ[...]. გ. კაჩალინს შევხედე და თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

მორიგი მატჩის წინ, — განაგრძო სლავამ, — გავრილ კაჩალინმა თბილისელთა შემადგენლობა რომ გამოაცხადა და თავდაცვის ცენტრში ჩემი გვარი დაასახელა, დინამოელთა გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა — ეს მართლაც სიურპრიზი იყო. მაგრამ უფრო დიდი სიურპრიზი წინ გველოდა თურმე, — განაგრძო ს. მეტრეველმა, — გამოვედით ერთ-ერთ მატჩში, ახლა არ მახსოვს ვის ვხვდებოდით, მაცვია მაისური №10. დაიწყო მატჩი და მეტოქეთა გასაოცრად მე თავდასხმის ცენტრში აღმოვჩნდი. დაიბნა მოწინააღმდეგის მარცხენა მცველი. რა ექნა არ იცოდა, გადმოსულიყო დაცვის ცენტრში ჩემს დასაჭერად თუ ფლანგზე დარჩენილიყო. ასევე, გაოგნებული იყო ცენტრალური მცველი, ვერ მიხვდა, მე ავეყვანე, თუ სხვა ფეხბურთელი. ახლაც, თითქოს ყურში ჩამესმის მათი მწვრთნელის თავგანწირული ყვირილი, გვერდით ხაზამდე მისული თავის მცველებს რომ ეძახდა „მეტრეველი... დააკავეთ მეტრეველი!“ — ის მატჩი ჩვენ მოვიგეთ. გავიმარჯვეთ დამაჯერებლად. მე კარგად მოვერგე ახალ ამპლუას. შესანიშნავად აეწყო მიშა მესხთან სათამაშო ურთიერთობა. მთელი სეზონი ასე გავაგრძელეთ. ჩემპიონები გავხდით. იმ წელს, სეზონის დასასრულს, მე და მიშა კვლავ მიგვიწვიეს ნაკრებში, ამჯერად, უფროსი მწვრთნელი ნ. მოროზოვი იყო. ორი მატჩი ვითამაშე — იუგოსლაველებთან და ბულგარელებთან — ორივე შეხვედრაში მწვრთნელმა ცენტრალურ თავდამსხმელად დამაყენა. 1964 წლის სეზონის შედეგების მიხედვით კი, „33 საუკეთესოთა“ შორის მარცხენა ცენტრალურ №1 თავდამსხმელად მაღიარეს.



სლავა მეტრეველი და ნუგზარ მჭედლიშვილი (მარცხნივ)

***

### სლავა — მისი მეგობრების თვალით

**რა თქვეს მათ სხვადასხვა დროს ჩემთან საუბარში:**

**ანატოლი კრუტიკოვი** — სპორტის დამსახურებული ოსტატი:

— მე, როგორც მარცხენა მცველი, ვიტყვი, რომ უცხოეთში უძლიერესი მარჯვენა გარემარბები იყვნენ გარინჩა და ჰამრინი. ჩვენში — სლავა მეტრეველი.

**მიხეილ მესხი** — სპორტის დამსახურებული ოსტატი:

— სლავა შეუდარებელი ფეხბურთელი იყო. მარჯვენა ფრთაზე იგი ერთ-ერთი უძლიერესი იყო მსოფლიოში.

**ვიქტორ შუსტიკოვი** — სპორტის დამსახურებული ოსტატი:

— მისი ვარჯიშები ყოველთვის იყო ახლის ძიებისა და აღმოჩენის. ასეთი იყო იგი თამაშის დროსაც. მას ნამდვილად გაუღიმა ბედმა, როცა შეხვდა ვიქტორ ალექსანდრეს ძე მასლოვს. ვიქტორ ალექსანდრეს ძეს ვატყობდით, რომ „ტორპედოში“ ყველაზე მეტად სლავა უყვარდა. მსუბუქად თამაშისთვის მას შინაურულად „ბუზი“ შეარქვა. ხოლო საპასუხისმგებლო მატჩების დროს მას „შევარდენს“ ეძახდა.

**კოტე მახარაძე** — საქართველოს სახალხო არტისტი:

— მე მინდა გავიმეორო გავრილ კაჩალინის სიტყვები. შეკითხვაზე, თუ ვინ იყო ნაკრებში ყველაზე ათლეტი, მან უპასუხა: სლავა მეტრეველი, — და დაუმატა, — სლავა ყველას სჯობნის შტანგის აზიდვაში, სიმაღლეზე ხტომაში, 100 მეტრზე რბენაში. ჩემის მხრივ დავძენდი: სლავა იყო შეუდარებელი ფეხბურთელი. მას ჰქონდა ჭეშმარიტად სახალხო აღიარება. ეს აღიარება მან მოიპოვა დაუღალავი შრომით. იგი საოცრად მომთხოვნი იყო საკუთარი თავისადმი. კარგად იცოდა, რომ სპორტული ფორმის შენარჩუნება არის მისი სპორტული კარიერის და ცხოვრების განმსაზღვრელი. სლავა აღიარეს ევროპაში და სამხრეთ ამერიკაში. ეს კი, ძალიან ბევრს ნიშნავს. 1964 წელს, როცა თბილისის „დინამოს“ დასჭირდა, სლავა მარჯვენა ფრთიდან თავდასხმის ცენტრში გადავიდა და შესანიშნავადაც გაუძღვა საქმეს. ესეც მის დიდ საფეხბურთო შესაძლებლობებზე და დიაპაზონზე მეტყველებს.

ერთხელ მე და ჩემი მეგობარი რუსთაველზე მივდიოდით. ვხედავთ, ფეხბურთის გულშემატკივართა ჯგუფი შეკრებილა და ცხარედ კამათობენ. მე რომ დამინახეს, ჩემსკენ გამოემართნენ. როგორც გაირკვა „მესხისტები“ და „მეტრეველისტები“ ყოფილან. ვერ გაერკვიათ მესხი სჯობდა თუ მეტრეველი. მაშინ ორთავე ბრწყინვალე სპორტულ ფორმაში იყვნენ. მივხვდი, რომელიმეს გამოყოფა მოკამათეებს ვერ დააწყნარებდა. მე ასე ვიტყოდი, მივმართე მათ, როგორც გულშემატკივარი ვინატრებდი მარჯვენა და მარცხენა გარემარბად მესხისნაირი ფეხბურთელები თამაშობდნენ. მწვრთნელი რომ ვიყო, ვისურვებდი მარჯვენა და მარცხენა ფრთები მეტრეველისნაირ ფეხბურთელებს დაეკავებინათ.

**ვალენტინ ივანოვი** — სპორტის დამსახურებული ოსტატი: — სლავა უდიდესი ფეხბურთელი იყო. მას ჰქონდა შეუდარებელი გასვლა, ბრწყინვალე დრიბლინგი, დიდი სისწრაფე, თამაშობდა თავისუფლად, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე. როგორც მოქალაქე, სლავა გულთბილი და თავაზიანი პიროვნება, კარგი ადამიანი იყო. მეტრეველი იყო ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელი საბჭოთა კავშირში და მთელ მსოფლიოში. მე ბედნიერება მხვდა წილად მეთამაშა მასთან ერთად წლების მანძილზე როგორც საბჭოთა კავშირის ნაკრებში, ისე მოსკოვის „ტორპედოში“. ის მარჯვენა გარემარბი იყო, მე მარჯვენა ინსაიდი. მინდორზე უსიტყვოდ ვუგებდით ერთმანეთს. ჩვენ თავიდანვე მეგობრები ვიყავით და ეს მეგობრობა დღესაც გრძელდება.

...მოგვიანებით, როცა სლავა მეტრეველმა სამუდამოდ დაგვტოვა — 62 წელს არმიღწეულმა, ვალენტინ ივანოვმა გაზეთ „ტრუდში“ აღნიშნა: „სლავა ძალზე კარგი იყო ნებისმიერ კამპანიაში — მხიარული, უდარდელი, ზოგჯერ შფოთისთავი, მაგრამ ძალიან სერიოზულიც. აბა, რა დიდებულად ჩანდა მინდორზე — ღვთით ნაკურთხი მარჯვენა გარემარბი!“ საოცარი სითბო და სიყვარულია გამოხატული ამ სიტყვებით.

**ვალენტინ ბუბუკინი** — სპორტის დამსახურებული ოსტატი:

— სლავა იყო უაღრესად სწრაფი, უაღრესად ტექნიკური, აკურატული მოედანზეც და ცხოვრებაშიც. ჰქონდა გასაოცარი სიზუსტის — მეტოქეებისთვის მოულოდნელი და ჩვენთვის სასარგებლო გადაცემები. ფლობდა მთელ მატჩს — თავიდან ბოლომდე. არასოდეს, არც „ტორპედოში“, არც „დინამოში“, არც ნაკრებში, ის დაღლილი არავის უნახავს. და რაც კიდევ ხაზგასასმელია, სლავას, როგორც სხვას არავის ჩვენს შორის, ჰქონდა ისეთი თვისება, რომელსაც მე წინათგრძნობისა და დაუღლელობის ერთობლიობას დავარქმევდი. პარიზში, ფინალურ მატჩში იუგოსლაველებთან, ევროპის თასზე, მეორე ტაიმის დასაწყისში შევასრულე ძლიერი დარტყმა მეტოქის კარში, დაახლოებით 25-30 მეტრიდან. დავარტყი და დაველოდე რა მოხდებოდა... დაელოდნენ ივანოვიც, პონედელნიკიც, მესხიც... არ დაელოდა მხოლოდ სლავა. იგი იუგოსლაველთა კარისკენ გაიჭრა... ყოველ შემთხვევისათვის... ძლიერად დარტყმული სველი ბურთი მეკარემ ვერ დაიჭირა, მოიგერია მხოლოდ. სლავა ყველაზე ადრე დაეუფლა მას, ოდნავ წინ წაიწია და ზუსტად დაარტყა. ჩვენ ანგარიში გავათანაბრეთ. ასეთი რამ ბევრჯერ გაუკეთებია, და ხშირადაც აუღია კარი. თუ ეს არ მოხდებოდა, იგი თავის ამ ინიციატივას არავის დააყვედრიდა და არც ხაზს გაუსვამდა თავის ასეთ მოქმედებას.

ნამდვილად შეუდარებელი იყო.

***

მახსენდება 1971 წლის შემოდგომის თბილისი და 35 წლის სლავა მეტრეველის წასვლა დიდი ფეხბურთიდან. „ლოკომოტივის“ სტადიონის შესასვლელთან გულშემატკივრებს სლავას მეგობარი ვიქტორ პონედელნიკი მოექციათ ალყაში და ათასნაირ კითხვას აძლევდნენ. იგი ამომწურავ პასუხებს იძლეოდა, რომ არაფერი გცოდნოდა კაცს სლავა მეტრეველზე, პონედელნიკის ერთსაათიანი „პრესკონფერენციაც“ გაგაცნობდათ თბილისელთა შეუდარებელი ფეხბურთელის ვინაობას.

— დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდა? — შეკითხვა დაუსვა ერთ-ერთმა გულშემატკივარმა.

— ო, განუმეორებელი, სამაგალითო იყო თანაგუნდელებისათვის, მწვრთნელებისათვის კი თითით საჩვენებელი, — უპასუხა ვ. პონედელნიკმა და განაგრძო, — დარწმუნებული ვარ, რომ იგი გუშინაც კი, ისე თავდაუზოგავად ივარჯიშებდა, თითქოს დღეს მისი გაცილების მატჩი კი არა, ერთ-ერთი საპასუხისმგებლო შეხვედრა იყოს...

ასეთი იყო სლავა მეტრეველი — ლეგენდარული ფეხბურთელი, დიდებული პიროვნება და ჩინებული მოქალაქე.

**ნუგზარ მჭედლიშვილი**



შეტევაზეა სლავა მეტრეველი



## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### 40 მილიონ გირვანქა სტერლინგს...

**... ჰპირდებიან „არსენალის“ მესვეურები გუნდის მთავარ მწვრთნელ არსენ ვენგერს ახალი მოთამაშეების შესაძენად, რათა მან მომავალ სეზონში გაასწროს „მანჩესტერ იუნაიტედს“ და ინგლისის ჩემპიონობა მოიპოვოს.**

**— თუკი ჩვენ ინგლისურ ფეხბურთში კვლავ წამყვანი როლის შესრულება გვსურს, აუცილებლად უნდა ვიყიდოთ მსოფლიო კლასის ორი მოთამაშე მაინც. მე ვიცი, ვინც მჭირდება, მაგრამ ჯერ კიდევ გვაქვს დრო ამ საკითხის განსახილველად.**

### „სერბ ბეკენბაუერს“ უწოდებენ

იუგოსლავიის ნაკრების მცველმა გორან ბუნიევჩევიჩმა 8 მილიონ დოლარად კონტრაქტს მოაწერა ხელი ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურსთან“.

ბუნიევჩევიჩი 28 წლისაა, „სერბ ბეკენბაუერს“ უწოდებენ. მისი შეძენა „ინტერსაც“ სურდა, მაგრამ ინგლისელებმა დაასწრეს.

### კანიჯა გაახალგაზრდავდა

**მიმომხილველები თვლიან, რომ არგენტინის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი კლაუდიო კანიჯა ახლა „ხელმეორედ გაახალგაზრდავდა“. მთელი სეზონის მანძილზე 34 წლის თავდამსხმელი შესანიშნავად თამაშობდა შოტლანდიურ „დანდიში“, ახლა კი, ამავე ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონ „გლაზგო რეინჯერსში“ გადავიდა.**

### გარი ნევილი მხოლოდ მცველი როდია

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ცნობილმა მცველმა გარი ნევილმა ერთი თავისებური თანამდებობის შესრულება დაიწყო, იგი დაინიშნა მალტის ტურიზმის სამმართველოსა და ავიაკომპანია „ეირ მალტას“ წარმომადგენლად ინგლისში.

„მანჩესტერ იუნაიტედს“ ათასხუთასი წევრი ჰყავს მალტაზე არსებულ თავის ფან-კლუბში და 10 ათასზე მეტი გულშემატკივარი.

### არა, გოვუ არსად წავა

**„ლიონის“ ახალგაზრდა თავდამსხმელმა სიდნეი გოვუმ წელს ბრწყინვალედ ითამაშა ჩემპიონთა ლიგაში, რითაც საყოველთაო ყურადღება მიიპყრო, პირველ რიგში, დიდი კლუბების მხრიდან მასთან მოლაპარაკება დაიწყეს „მილანმა“ და „ბაიერნმა“ მაგრამ გოვუმ ორივეს იმედი გაუცრუა და ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი „ლიონთან“ 2006 (!) წლამდე.**

### „არავითარი მოლაპარაკება! რიკელმე ჩვენთან რჩება!“

როგორც „ბოკა ხუნიორსის“ ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, ხუან რომან რიკელმე „ბარსელონაში“ არ გადავა.

— საკითხი ამოწურულია. არავითარი მოლაპარაკება! — განაცხადა „ბოკას“ ფინანსურმა დირექტორატმა ორლანდო სილვესტრინიმ. „ბარსელონა“ ფეხბურთელში 22 მილიონ დოლარს იხდიდა.

### გულს ნუ ეხუმრები

**ნორვეგიის ნაკრების ცნობილმა ნახევარმცველმა სტოლე სოლბაკენმა გადაწყვიტა დაასრულოს კარიერა. მარტში ერთ-ერთ ვარჯიშზე 33 წლის ფეხბურთელი წაიქცა და რამდენიმე წუთით გაუჩერდა გული.**

**— სამწუხაროდ, ფეხბურთს თავი უნდა დავანებო, — განუცხადა სოლბაკენმა სააგენტო ენ-ტი-ბის კორესპონდენტს, — რა თქმა უნდა, ეს გადაწყვეტილება დიდი ფიქრის შემდეგ მივიღე, მაგრამ სხვა რამის გაკეთება ნამდვილად არ შემეძლო. ექიმებმა დაბეჯითებით მომთხოვეს ასეთი გადაწყვეტილების მიღება.**

**სოლბაკენს ნორვეგიის ნაკრებში 58 მატჩი აქვს ნათამაშევი.**

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

# დიდი ფეხბურთის კვირეული

**ზაფხულის პირველი თვე დიდი ფეხბურთის კვირეულით დაიწყება. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები გაიმართება ევროპასა და სამხრეთ ამერიკაში. ამ შეხვედრებში თითქმის საბოლოოდ გაირკვევა მოასპარეზეთა ბედი. ჩვენც გადავხედოთ ჯგუფებში არსებულ ვითარებას, გავეცნოთ წყვილებს და დღეიდან თვალი მივადევნოთ მატჩების მსვლელობას.**

## ევროპა

### I ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 7-1 | 13 |
| შვეიცარია | 5 | 2 | 2 | 1 | 13-5 | 8 |
| სლოვენია | 5 | 1 | 4 | 0 | 8-7 | 7 |
| იუგოსლავია | 4 | 1 | 2 | 1 | 4-3 | 5 |
| ფარერები | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| ლუქსემბურგი | 5 | 0 | 0 | 5 | 1-14 | 0 |

***2 ივნისი:*** რუსეთი — იუგოსლავია; ფარერები — შვეიცარია; სლოვენია — ლუქსემბურგი;

***6 ივნისი:*** შვეიცარია — სლოვენია; ლუქსემბურგი — რუსეთი; ფარერები — იუგოსლავია.

### II ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 6 | 4 | 2 | 0 | 15-4 | 14 |
| ჰოლანდია | 6 | 3 | 2 | 1 | 17-6 | 11 |
| პორტუგალია | 5 | 3 | 2 | 0 | 11-4 | 11 |
| კვიპროსი | 6 | 2 | 1 | 3 | 10-16 | 7 |
| ესტონეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-8 | 7 |
| ანდორა | 8 | 0 | 0 | 8 | 4-25 | 0 |

***2 ივნისი:*** ირლანდია — პორტუგალია; ესტონეთი — ჰოლანდია;
***6 ივნისი:*** ესტონეთი — ირლანდია; პორტუგალია — კვიპროსი.

### III ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 6-0 | 11 |
| ბულგარეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-6 | 10 |
| დანია | 5 | 2 | 3 | 0 | 9-3 | 9 |
| ისლანდია | 5 | 2 | 0 | 3 | 7-9 | 6 |
| ჩრ.ირლანდია | 5 | 1 | 1 | 3 | 5-7 | 4 |
| მალტა | 5 | 0 | 1 | 4 | 1-13 | 1 |

***2 ივნისი:*** ისლანდია — მალტა; ჩრ. ირლანდია — ბულგარეთი; დანია — ჩეხეთი;

***6 ივნისი:*** ისლანდია — ბულგარეთი; დანია — მალტა; ჩეხეთი — ჩრ. ირლანდია.

### IV ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვაკეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 7-2 | 11 |
| თურქეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 7-3 | 11 |
| შვედეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 5-1 | 11 |
| მაკედონია | 5 | 1 | 1 | 3 | 4-5 | 4 |
| მოლდოვა | 5 | 0 | 2 | 3 | 0-5 | 2 |
| აზერბაიჯანი | 5 | 0 | 1 | 4 | 1-8 | 1 |

***2 ივნისი:*** თურქეთი — აზერბაიჯანი; მაკედონია — მოლდოვა; შვედეთი — სლოვაკეთი;
***6 ივნისი:*** თურქეთი — მაკედონია; შვედეთი — მოლდოვა; აზერბაიჯანი — სლოვაკეთი.

### V ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 13-4 | 13 |
| ბელარუსი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-6 | 10 |
| უკრაინა | 5 | 2 | 2 | 1 | 6-6 | 8 |
| უელსი | 5 | 0 | 4 | 1 | 5-6 | 4 |
| სომხეთი | 5 | 0 | 2 | 3 | 5-11 | 2 |
| ნორვეგია | 5 | 0 | 2 | 3 | 4-7 | 2 |

***2 ივნისი:*** სომხეთი — ბელარუსი; უელსი — პოლონეთი; უკრაინა — ნორვეგია;

6 ივნისი: ნორვეგია — ბელარუსი: უკრაინა — უელსი; სომხეთი — პოლონეთი.

### VI ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 5 | 3 | 2 | 0 | 10-3 | 11 |
| ბელგია | 4 | 2 | 2 | 0 | 16-3 | 8 |
| ხორვატია | 3 | 1 | 2 | 0 | 5-2 | 5 |
| ლატვია | 5 | 1 | 1 | 3 | 3-10 | 4 |
| სან.მარინო | 5 | 0 | 1 | 4 | 2-18 | 1 |

***2 ივნისი:*** ხორვატია — სან მარინო; ბელგია — ლატვია;
***6 ივნისი:*** ლატვია — ხორვატია; სან მარინო — ბელგია.

### VII ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრია | 5 | 3 | 2 | 0 | 7-3 | 11 |
| ესპანეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 1-2 | 10 |
| ისრაელი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-5 | 6 |
| ბოსნია | 4 | 1 | 1 | 2 | 6-6 | 4 |
| ლიხტენშტ. | 5 | 0 | 0 | 5 | 0-13 | 0 |

***2 ივნისი:*** ესპანეთი — ბოსნია; ლიხტენშტეინი — ისრაელი;
***6 ივნისი:*** ისრაელი — ესპანეთი.

### VIII ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 5 | 4 | 1 | 0 | 13-2 | 13 |
| რუმინეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 3-5 | 6 |
| უნგრეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 9-4 | 5 |
| საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 4-4 | 3 |
| ლიტვა | 5 | 0 | 1 | 4 | 2-16 | 1 |

***2 ივნისი:*** რუმინეთი — უნგრეთი; საქართველო — იტალია;
***6 ივნისი:*** ლიტვა — რუმინეთი; უნგრეთი — საქართველო.

### IX ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 4 | 4 | 0 | 0 | 9-3 | 12 |
| ინგლისი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| ფინეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| ალბანეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 5-7 | 3 |
| საბერძნეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-8 | 3 |

***2 ივნისი:*** საბერძნეთი — ალბანეთი; ფინეთი — გერმანია;
***6 ივნისი:*** საბერძნეთი — ინგლისი; ალბანეთი — გერმანია.:

## სამხრეთ ამერიკა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 12 | 9 | 2 | 1 | 30-11 | 29 |
| პარაგვაი | 12 | 7 | 2 | 3 | 20-11 | 23 |
| ეკვადორი | 12 | 7 | 1 | 4 | 15-15 | 22 |
| ბრაზილია | 12 | 6 | 3 | 3 | 22-11 | 21 |
| კოლუმბია | 12 | 5 | 4 | 3 | 12-9 | 19 |
| ურუგვაი | 12 | 5 | 3 | 4 | 13-18 | 18 |
| პერუ | 12 | 3 | 3 | 6 | 11-15 | 12 |
| ჩილე | 12 | 3 | 1 | 8 | 12-17 | 10 |
| ბოლივია | 12 | 2 | 4 | 6 | 8-19 | 10 |
| ვენესუელა | 12 | 1 | 1 | 10 | 8-35 | 4 |

***2 ივნისი:*** პარაგვაი — ჩილე; პერუ — ეკვადორი;
***3 ივნისი:*** ბოლივია — ვენესუელა; ურუგვაი — ბრაზილია; არგენტინა — კოლუმბია.

## აზია

### V ჯგუფი

ტაილანდი — ლივანი 2-2
შრი-ლანკა — პაკისტანი 3-1

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტაილანდი | 6 | 5 | 1 | 0 | 20-5 | 16 |
| ლივანი | 6 | 4 | 1 | 1 | 26-5 | 13 |
| შრი-ლანკა | 6 | 1 | 1 | 4 | 8-20 | 4 |
| პაკისტანი | 6 | 0 | 1 | 5 | 5-29 | 1 |

# კონფედერაციის თასი

კონფედერაციის თასის გათამაშება, რომელიც იმართება კორეა-იაპონიაში, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის გენერალური რეპეტიციაა.
გუნდები დაყოფილნი არიან A და B ჯგუფებად. A ჯგუფი: საფრანგეთი, კორეა, ავსტრალია, მექსიკა — შეხვედრები იმართება კორეაში. B ჯგუფი: ბრაზილია, კანადა, იაპონია, კამერუნი (იაპონია) ნახევარფინალში ერთმანეთს ხვდებიან A ჯგუფის გამარჯვებული და B ჯგუფის მეორე ადგილზე გასული, აგრეთვე B ჯგუფის გამარჯვებული და A ჯგუფის მეორე ადგილზე გასული ნაკრებები. ფინალი დანიშნულია 10 ივნისს იაპონიის ქალაქ იოკოგამაში.
გაიმართა პირველი შეხვედრები:

**A ჯგუფი:**
***საფრანგეთი — კორეა 5-0***
1-0 მარლე (9), 2-0 ვიეირა (19) 3-0 მარლე (34) 4-0 ჯორკაეფი (80) 5-0 ვილტორდი (90)
***მექსიკა — ავსტრალია 2-0***
მერფი (18), სკოკო (54)

**B ჯგუფი**
***ბრაზილია — კამერუნი 2-0***
1-0 ვაშინგტონი; 2-0 კარლუშ მიგელი
***იაპონია — კანადა 3-0***
1-0 შიძი ონო (57), 2-0 აკინორი ნიშიზავა (59), 3-0 ჰიროაკი მორიშიმა (87).

# ლიბერტადორესის თასი

გაიმართა დიბერტადორესის თასის მეოთხედფინალების განმეორებითი მატჩები. ძალზე დრამატულად წარიმართა კოლუმბიის „ამერიკასა" და არგენტინის „როსარიოს" შეხვედრა. პირველ მატჩში 1-0 იმარჯვეს არგენტინელებმა, ხოლო მეორე შეხვედრის დასასრულისკენ უკვე ანგარიში იყო 3-0 „ამერიკას" სასარგებლოდ და დარჩენილ დროში არგენტინელებმა შეძლეს 2 გოლის გატანა და შეხვედრა დამთავრდა 3-2. დაინიშნა 11-მეტრიანების სერია, მეტოქეებმა ზედიზედ 6 „პენალტი" ვერ გამოიყენეს. საბოლოოდ 4-3 იმარჯვეს არგენტინელებმა და გავიდნენ ნახევარფინალში.

მექსიკის „კრუს ასულსა" და არგენტინის „რივერ პლეიტის" პირველი შეხვედრა დამთავრდა ფრედ 0-0, ხოლო განმეორებითში, რომელიც ჩატარდა „აცტეკას" სტადიონზე 110 000 მაყურებლის თანდასწრებით, დამთავრდა 3-0 მექსიკელთა სასარგებლოდ.

„რივერ პლეიტის" დაუძინებელმა მტერმა „ბოკა ხუნიორსმა" კი პირიქით, გაანადგურა ბრაზილიის „ვასკუ და გამა" ანგარიშით 3-0 და გავიდა ნახევარფინალში.

ბრაზილიური გუნდების „კრუზეიროსა" და „პალმეირასის" შეხვედრაში, როგორც პირველში (3-3), ასევე მეორეშიც ფრე 2-2 დაფიქსირდა. 11-მეტრიანები უკეთ შეასრულეს „პალმეირასის" ფეხბურთელებმა. ნახევარფინალშიც ისინი გავიდნენ.

ამრიგად, ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: არგენტინის „როსარიო" და მექსიკის „კრუს ასული" და ბრაზილიის „პალმეირასი" და არგენტინის „ბოკა ხუნიორსი".





# „ფრანს-2" ჟურნალისტთა შორის პირველი მსოფლიო ჩემპიონია

მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი სპორტულ ჟურნალისტთა შორის ფეხბურთში, რომელიც მაროკოს ქ. მარაკეშში გაიმართა, დასრულდა ფრანგული ტელეარხ „ფრანს – 2-ის" გამარჯვებით. ფინალში ფრანგებმა პენალტების სერიით აჯობეს თანამემამულეებს გაზეთ „სპორტ-ვაკლიუზიდან".

ტურნირში მონაწილეობდა 12 გუნდი საფრანგეთიდან, მაროკოდან, ტუნისიდან, ალჟირიდან და გერმანიიდან. ტურნირს ძლიერს ვერ უწოდებ, რადგან მასში არც იტალიის, არც ინგლისის, არც რუსეთის, არც უკრაინის გუნდები არ მონაწილეობდნენ.

# ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

### I ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 4 | 2 | 2 | 0 | 12-4 | 8 |
| იუგოსლავია | 4 | 2 | 2 | 0 | 10-6 | 8 |
| სლოვენია | 4 | 1 | 2 | 1 | 6-3 | 5 |
| რუსეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| ლუქსემბურგი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-16 | 0 |

### II ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 4 | 3 | 1 | 0 | 10-3 | 10 |
| ჰოლანდია | 5 | 3 | 1 | 1 | 8-6 | 1 |
| ირლანდია | 4 | 2 | 0 | 2 | 3-5 | 6 |
| კვიპროსი | 4 | 1 | 0 | 3 | 5-7 | 3 |
| ესტონეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-7 | 0 |

### III ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 8-2 | 13 |
| ჩეხეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 8-2 | 12 |
| დანია | 5 | 1 | 3 | 1 | 5-5 | 6 |
| ჩრ.ირლანდია | 5 | 2 | 0 | 3 | 8-9 | 6 |
| ისლანდია | 5 | 0 | 2 | 3 | 4-9 | 2 |
| მალტა | 5 | 0 | 2 | 3 | 1-7 | 2 |

### IV ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვაკეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 12-1 | 13 |
| შვედეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 10-1 | 11 |
| თურქეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-3 | 10 |
| მოლდოვა | 5 | 1 | 1 | 3 | 3-6 | 4 |
| აზერბაიჯანი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-13 | 4 |
| მაკედონია | 5 | 0 | 0 | 5 | 2-13 | 0 |

### V ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელარუსი | 5 | 4 | 0 | 1 | 14-2 | 12 |
| უკრაინა | 5 | 3 | 1 | 1 | 9-6 | 10 |
| ნორვეგია | 5 | 3 | 0 | 2 | 11-5 | 9 |
| პოლონეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-9 | 8 |
| სომხეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-13 | 4 |
| უელსი | 5 | 0 | 0 | 5 | 2-12 | 0 |

### VI ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 3 | 3 | 0 | 0 | 5-1 | 9 |
| ხორვატია | 3 | 2 | 0 | 1 | 6-4 | 6 |
| შოტლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| ლატვია | 3 | 0 | 0 | 3 | 2-7 | 0 |

### VII ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 12-6 | 14 |
| ესპანეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| ისრაელი | 5 | 2 | 0 | 3 | 7-9 | 6 |
| ავსტრია | 5 | 1 | 2 | 2 | 4-6 | 5 |
| ბოსნია | 4 | 0 | 1 | 3 | 1-5 | 1 |

### VIII ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 5 | 4 | 1 | 0 | 9-3 | 13 |
| რუმინეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-2 | 7 |
| უნგრეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| ლიტვა | 5 | 1 | 0 | 4 | 3-10 | 3 |
| საქართველო | 3 | 0 | 0 | 3 | 3-8 | 0 |

### IX ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-3 | 9 |
| ინგლისი | 4 | 2 | 2 | 0 | 8-3 | 8 |
| გერმანია | 4 | 2 | 1 | 1 | 11-4 | 7 |
| ფინეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-9 | 4 |
| ალბანეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 0-13 | 0 |

# ცინცხალი ამბები




## ნბა

გაიმართა აღმოსავლეთის კონფერენციის ფინალის მე-5 შეხვედრა:

***„ფილადელფია“ — „მილუოკი“ 89:88***

მუტომბო (21-13 მოხსნა), სნოუ (18), აივერსონი (15-9 მოხსნა-8 გადაცემა), მაკკი (18) — რობინსონი (22-8 მოხსნა), ალენი (20), კასელი (18-12 მოხსნა), ტომასი (15-6 მოხსნა).

ამ შეხვედრის გმირი იყო არა ალენ აივერსონი, როგორც ხდებოდა წინა შეხვედრებში, არამედ ერიკ სნოუ, რომელმაც თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა პლეი-ოფში. სნოუს მიერ თამაშის ბოლოს ნატყორნცმა ბურთმა მოუტანა გამარჯვება „ფილადელფიას“. ეს შეხვედრა ცუდად წარმართა აივერსონმა, რომლის 27 ნატყორცნიდან მხოლოდ 5-მა მიაღწია მიზანს.

სერიაში მატჩის ანგარიში გახდა 3-2 „ფილადელფიას“ სასარგებლოდ. მე-6 შეხვედრა დღეს გაიმართება მილუოკში. როგორც ცნობილია, ამ წყვილის გამარჯვებულს თასის ფინალში უკვე ელოდება დასავლეთის კონფერენციის ჩემპიონი „ლეიკერსი“.

## მოკლედ... ნომრიდან — ნომრამდე

● **მსოფლიო** ფეხბურთის ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელი, ამჟამად 74 წლის ფერენც პუშკაში სერიოზულადაა ავად. ვეტერან ფეხბურთელს ალცგეიმერის დაავადება აღმოაჩნდა. გაისად, 2 აპრილს, პუშკაში 75 წლისა ხდება. ბუდაპეშტში ამ თარიღის აღსანიშნავად უნგრეთის და ესპანეთის ნაკრებების ამხანაგური შეხვედრაა დაგეგმილი.

● **„ბრასჰოპერის“ თავდამსხმელი სტეფან შაპუიზა დასახელებულია შვეიცარიის საუკეთესო ფეხბურთელად. 31 წლის ფორვარდმა ამ სეზონში ბომბარდირის ტიტული გაინაწილა „ლუგანოს“ თავდამსხმელ ჰიმენესთან. უკანასკნელ ტურში, სადაც წყდებოდა ჩემპიონობის ბედი, შაპუიზამ გაიტანა ერთ-ერთი ბურთი და დიდი წვლილი შეიტანა თავისი გუნდის გაჩემპიონებაში, მაგრამ ამ შეხვედრაში იგი დაშავდა და შვეიცარიის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის 2 მომდევნო შეხვედრაში გამოაკლდება.**

**საუკეთესო შვეიცარიელი ლეგიონერად დასახელებულია ინგლისის „ლივერპულში“ მოთამაშე სტეფან ანშო.**

● **ცნობილმა** რუმინელმა ფეხბურთელმა გეორგე ჰაჯიმ თუმცა ფეხბურთთან გამოსათხოვარი მატჩი ითამაშა, ეტყობა თურქეთი ამ ფეხბურთელს ასე ადვილად ვერ შეელევა. მას მსაჯზე თავდასხმის ბრალდება წაუყენეს და თუ დანაშაული დაუმტკიცდა 4 წლის ზევით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. ინციდენტი „გალათასარაი“ — „გენჩლერბირლინგის“ მატჩის დროს მოხდა.

● **პრაღის „სპარტას“ 38 წლის მთავარი მწვრთნელი ივან ჰაშეკი მომავალ სეზონში გაწვრთნის საფრანგეთის თასის მფლობელს „სტრასბურს“, რომელიც გავარდა პირველი დივიზიონიდან. 1990-1993 წლებში თავად ჰაშეკი თამაშობდა ამ გუნდში. „სტრასბურმა“ მოიპოვა უფლება შემოდგომაზე ითამაშოს უეფას თასზე, მაგრამ მთავარ ამოცანად ჰაშეკს დაუსახეს პირველ დივიზიონში დაბრუნება.**

● **„დეპორტივოს“** მწვრთნელმა ხავიერ ირურეტამ გააგრძელა 2002 წლამდე თავისი კონტრაქტი ამ გუნდთან. 53 წლის ბასკ სპეციალისტს მრავალი კლუბი ეპატიჟებოდა, მაგრამ მან გადაწყვიტა დარჩენა ლა-კორუნაში, თუმცა ამ კონტრაქტით ფინანსურად წააგო. ირურეტა, რომელიც გუნდს სამი წელია წვრთნის, არის ყველაზე წარმატებული მწვრთნელი გალისიური კლუბის ისტორიაში.

## კაზაგრანდე – საუკეთესოა

**ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა (ბსშ) გამოაქვეყნა ველომრბოლთა ახალი რეიტინგი. პიველ ადგილს ინარჩუნებს იტალიელი ფრანჩესკო კაზაგრანდე.**



### UCI-ის რეიტინგი

1(1) ფრანჩესკო კაზაგრანდე (იტალია) — 2550 ქულა
2(2) დავიდე რებელინი (იტალია) — 2048
3(3) ლენს არმსტრონგი (აშშ) — 1997
4(4) ერიკ დეკერი (ჰოლანდია) — 1907
5(5) რობერტო ერასი (ესპანეთი) — 1759
6(7) ერიკ ტაბელი (გერმანია) — 1699
7(6) იან ულრიხი (გერმანია) — 1676
8(8) რომან ვაინშტეინსი (ლატვია) — 1646
9(9) რაიმონდასი რუმსასი (ლიტვა) — 1581
10(10) მიკელე ბარტოლი (იტალია) — 1555

*სურათზე: კაზაგრანდე*

## ჰიტცფელდი გაქურდეს



„ბავარიის“ მთავარი მწვთრნელი ოტმარ ჰიტცფელდი, როგორც მიუნხენიდან იტყობინებიან, — გაქურდეს. ჩემპიონთა ლიგის მთავარი გმირის ბინიდან ქურდებმა გაიტანეს ძვირფასი ნივთები და გაიტაცეს მეუღლის მანქანა. ზარალი 91 070 დოლარის ტოლფასია.

## ასტანის სუპერტურნირი ტრადიციული გახდება

**გუშინ:** *IX ტური:* სადვაკასოვი — კასპაროვი; კრამნიკი — მოროზევიჩი; გელფანდი — შიროვი — სამივე პარტია ყაიმით დამთავრდა. ლიდერობს კრამნიკი — 6,5 ქულა, შემდეგ მოდიან: კასპაროვი — 6, გელფანდი — 5, მოროზევიჩი — 4, შიროვი — 3,5, სადვაკასოვი — 2.

უკვე ცნობილია, რომ ტურნირის გამარჯვებული მხოლოდ ერთი მოჭადრაკე იქნება. კასპაროვმა უნდა მოიგოს ხვალინდელი შეხვედრა, რათა კრამნიკს გადაუსწროს, კრამნიკს კი ყაიმიც ყოფნის.

**ასტანას XX** კატეგორიის სუპერტურნირი უძლიერესია წელს ჩატარებულ შეჯიბრებათაგან, ვეიკ-ან-ზეესაც აღემატება და ლინარესსაც. მოლოდინი, რომ საერთო შთაბეჭდილება შეიძლება გააფუჭოს ყაზახ ჩემპიონ დარმენ სადვაკასოვის მონაწილეობამ, რომელსაც არა აქვს ესოდენ ძლიერ ასპარეზობებში მონაწილეობის გამოცდილება, არ გამართლდა. სადვაკასოვი მეტად შეუპოვრად იბროძვის და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ შავებით ყაიმს მიაღწია თვით გარი კასპაროვთან. ეს ნახევარი ქულა მსოფლიოს ექს-ჩემპიონს საბოლოო ანგარიშით შეიძლება ძალიან ძვირად დაუჯდეს.

ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა მიიღო მსოფლიო ჩემპიონი ვლადიმერ კრამნიკი და მსოფლიოს ექს-ჩემპიონი გარი კასპაროვი. როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, ასტანას სუპერტურნირი ტრადიციული გახდება და ყოველწლიურად გაიმართება.

მთავარი საკითხი, ვის დარჩება პირველი ადგილი, მხოლოდ უკანასკნელ მომენტში თუ გამოირკვევა. ამჯერად კრამნიკმა და კასპაროვმა სხვა მონაწილეებთან შედარებით სრული უპირატესობა გამოავლინეს. მხოლოდ ისინი იბრძვიან წაუგებლად, მოგება კი ჯერჯერობით მხოლოდ ერთს — სადვაკასოვს არა აქვს, თუმცა, რამდენჯერმე მან აშკარა უპირატესობა მოიპოვა. მეტად საინტერესო გამოდგა კრამნიკისა და კასპაროვის პირადი შეხვედრა პირველ ტურში (სულ კი 41-ე მათ პრაქტიკაში). მეტოქეებმა გაითამაშეს გრიუნფელდის დაცვის ერთ-ერთი ვარიანტი, რომელსაც მდგომარეობის ადრეული გამარტივება მოჰყვა. ენდშპილში ვერცერთმა მხარემ ვერ მიაღწია უპირატესობას და საყაიმო შედეგი 30-ე სვლაზე სრულიად ბუნებრივი გახდა. ვნახოთ, რა შედეგს მოიტანს მათი მეორე შეხვედრა უკანასკნელ X ტურში.

***VII ტური*** მოროზევიჩი — შიროვი 1-0, კრამნიკი — სადვაკასოვი ყაიმი, გელფანდი — კასპაროვი 1-0.

***VIII ტური.*** კასპაროვი — მოროზევიჩი ყაიმი, სადვაკასოვი — გელფანდი ყაიმი, შიროვი — კრამნიკი ყაიმი. კრამნიკი — 6, კასპაროვი — 5,5, გელფანდი — 4,5, მოროზევიჩი — 3,5, შიროვი — 3, სადვაკასოვი — 1,5.

## ველორბოლა

სუპერ რბოლაში **„ჯირო დ'იტალია“** მოიგო დენის ძანეტიმ, რომელიც ველო ჯგუფ „ლიკიგანის“ წარმომადგენელია.



*ძანეტი*

იტალიელმა 212 კმ ლიდო დი ქისოლოსა და ლიუბლიანას (სლოვენია) შორის, დაფარა 5 საათსა 16 წუთსა და 21 წამში. მეორე ადგილზე გავიდა პორტუგალიელი ჟოზე აზევედუ, რომელიც ლიდერს 0,03 წ-ით ჩამორჩა, მესამე იყო ესპანელი აბრაჰამ ოლანო — ჩამორჩენა 0,14.

**გუშინ** მე-12, 139 კილომეტრიანი ეტაპი მოიგო მატეო ტოსატომ.
საერთო ჩათვლაში ლიდერობს იტალიელი დარიო ფრიგო.

## ლიტბარსკი «დუისბურგში»

გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი პიერ ლიტბარსკი მეორე ბუნდესლიგის კლუბ „დუისბურგის“ მწვრთნელად დაინიშნა. შეგახსენებთ, რომ ლიტბარსკი 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონია. ახალი კონტრაქტი ერთწლიანია. მანამდე ლიტბარსკი ლივერკუზენის „ბაიერში“ ფოგტსის ასისტენტი იყო.

## კოსტელიჩს მეორე ოპერაცია გაუკეთეს



**2001 წლის მსოფლიო თასის მფლობელი ხორვატიელი სამთო-მეთხილამურე იანიცა კოსტელიჩს გუშინ მარცხენა მუხლზე მეორე ოპერაცია ჩაუტარეს ბაზელში. ამ ქალაქის ქირურგებმა 19 წლის სპორტსმენს სეზონის დამთავრებისთანავე უმკურნალეს, მაგრამ ორი კვირის უკან კვლავ დაიზიანა მენისკი. ექიმების ვარაუდით კოსტელიჩი ორ თვეში შეძლებს დადგეს თხილამურებზე.**

## „როლან გაროსის“ სიურპრიზები

***გუშინ. ვაჟები:*** **გროჟენი — ანდერსენი — 6:2, 6:2, 6:2; სკილიარი — ვინჩეგერა — 2:6, 6:3, 6:3, 6:1; ქალები: ჰინგისი — კასტანო — 6:1, 6:0; სერენა უილიამსი — სტრებოტნიკი — 6:0, 7:5; მარტინესი — ხანტუჩოვა — 7:6, (7:4), 6:4; სკიავონე — მონტოლო — 6:4, 6:1; ბლეკი — შნიდერი — 6:2, 7,5.**

რა თქმა უნდა, არც ერთი დიდი საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში არ ჩაივლის ხოლმე დიდი თუ პატარა სიურპრიზების გარეშე. ასეა საფრანგეთის ღია პირველობაზეც, თუმცა ეს ჯერჯერობით უფრო ქალთა შეჯიბრებას ეხება.

პირველი სიურპრიზი აქ ის იყო, რომ სულ უკანასკნელ მომენტში შეჯიბრებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა მესამე ნომრად განთესილმა ლინდსეი დევენპორტმა (აშშ), რომელმაც მუხლი დაიზიანა. ამას შედეგად ისეთი უსიამოვნო რამ მოჰყვა, როგორიც მონაწილეთა „ბადის“ სასწრაფოდ გადაკეთებაა. ფრანგმა ამელი მორესმომ წლეულს უკვე 4 ტურნირი მოიგო და, ამდენად, მიმომხილველებს პირველი პრიზის პრეტენდენტადაც კი მიაჩნდათ. ამის შემდეგ ძალიან მოულოდნელი იყო მორესმოს მარცხი უკვე პირველ წრეში ნაკლებადცნობილ გერმანელ იანა კანდართან — 5:7, 5:7. „მე იმან გამამხნევა, რომ ადრეც მქონდა ერთი მოგება მორესმოსთან. მან დღეს, ცხადია, ვერ ითამაშა თავისი სრული ძალით“ — განაცხადა გერმანელმა. არავინ ელოდა იმასაც, რომ უიმბლდონისა და აშშ-ს ღია ჩემპიონატის გამარჯვებული ვენუს უილიამსი (აშშ) პირველივე წრეში დამარცხდება, ამასთან ავსტრიელ ბარბარა შეტთან, რომელთანაც ადრინდელი შეხვედრიდან 4 მოგება ჰქონდა. შეტმა გაიმარჯვა: 6:4, 6:4. „ეს საშინელი დღე იყო, ჭკუა უნდა ვისწავლო“ — განაცხადა ვენუს უილიამსმა. ყველა დანარჩენი ფავორიტი ქალთა შორის ბრძოლას განაგრძობს.

ვაჟთა შორის რაიმე დიდი მოულოდნელობა არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით, რა თქმა უნდა, პირველ წრეში ოდესღაც მსოფლიო რეიტინგ-ლისტში პირველ ადგილზე მყოფი მარსელო რიოსისა (ჩილე) და პატრიკ რაფტერის (ავსტრალია) მარცხს. მეშვიდე ნომრად განთესილმა ევგენი კაფელნიკოვმა (რუსეთი) იტალიელ ფედერიკო ლუცის რომ მოუგო — 6:3, 6:3, 6:4, ეს პროფესიულ კარიერაში მისი მე-500-ე გამარჯვება აღმოჩნდა. პირველი ჯებიოი იოლად დასძლიეს გუსტავო კუერტენმა (ბრაზილია) და ანდრე აგასიმ (აშშ). რაც შეეხება პიტ სამპრასს (აშშ), რომელსაც ცუდად აქვს დაცდილი პარიზში თამაში, მას, ცოტა არ იყოს, გაუჭირდა, მაგრამ მაინც გავიდა მეორე წრეში.

● **იტალიელი ველომრბოლი სერჯიო ბარბერო მოიხსნა „ლიამპრეს“ გუნდიდან და მონაწილეობა შეწყვიტა „ჯირო დ'იტალიის“ ასპარეზობაში სისხლში დოპინგის აღმოჩენის გამო.**

## სტეელსმა მოიგო „გერმანიის ტურის“ I ეტაპი

**ტომ სტელესი გამოვიდა გამარჯვებული „გერმანიის ტურის“ პირველ ეტაპზე, ბელგიელმა რამდენიმე სანტიმეტრით გაუსწრო მაყურებელთა კერპს ერიკ ცაბელს მთავარ ფავორიტს ამ მრავალდღიანი რბოლაში.**

***I ეტაპი.*** ჰამბურგი — ჰანოვერი. 210,4 კმ.
1. ტომი სტეელსი (ბელგია, „მაპეი“) — 5:04,43
2. ერიკ ცაბელი (გერმანიის „ტელეკომი“)
3. რუდი კემნა (ჰოლანდია „ბატავუსი“)

***II ეტაპი*** კი, რომლის ტრასაც გადიოდა გოშლარსა და ერფურტს შორის (სიგრძე 173 კმ) მოიგო ერიგ ცაბელმა და რბოლის ლიდერი გახდა.

**ორი ეტაპის შემდეგ საერთო მდგომარეობაა:**
1. ცაბელი (გერმანია) — 9:25,33
2. რუდი კემნა (ჰოლანდია) ჩამორჩენა 0,10



*ტომ სტეელსი*

## ტომაშ ენგე „ფორმულა-1“-ში გადადის

**„ფორმულა-1“-ის ტრასებზე მომავალში შეიძლება ვიხილოთ ჩეხი ტომაშ ენგე, რომელმაც უკვე ჩაატარა წინასწარი მოლაპარაკება. იტალიის გუნდში ჩეხს ტესტ-პილოტის როლს სთავაზობენ. ადრე ტომაში „ფორმულა — 300“-ში ასპარეზობდა.**

● **გუშინ** ცნობილი პროფესიონალი მოკრივის ვლადიმერ კლიჩკოს ხელთათმანი, რომლითაც იგი მსოფლიო ჩემპიონი გახდა, საქველმოქმედო აუქციონზე გაიყიდა კიევში 6 000 გრივენად (1000 დოლარზე მეტი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიო ჩემპიონი კრამნიკი: მინდა გაიგოს ყველამ!

*მსოფლიო ჩემპიონმა ვლადიმირ კრამნიკმა, როგორც ცნობილია, ხელი მოაწერა „სამი კ“-ს ცნობილ მიმართვას საჭადრაკო საზოგადოებისადმი. ამ საკითხზე მან ინტერვიუ მისცა მოსკოვის „64-შახმატნოე ობოზრენიეს“ რედაქტორ ალექსანდრ როშალს.*

— უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ კარპოვსა და კასპაროვს ფიდეს წინააღმდეგ არ შევუერთდი. „სამი კ“-ს ერთობლივი გამოსვლა დიდ რეზონანსს ქმნის, რომელმაც ფართო საზოგადოებრიობამდე უნდა მიიტანოს ის დიდი მღელვარება, რომელსაც ჭადრაკის ახლანდელი მდგომარეობა და მომავალი იწვევს. ეს იმ „ნოვაციებთან“ დაკავშირებით ხდება, რომელსაც ფიდეს პრეზიდენტი ილიუმჟინოვი არა თუ სათანადო წინააღმდეგობას არ უწევს, არამედ ხშირად მის ინიციატორადაც გამოდის. მე პირადად კონსტრუქციული დიალოგის მომხრე ვარ, მაგრამ რომ არაფერი გამოდის! ამავე დროს მე არ ვამტკიცებ, რომ მაინცდამაინც ჩემი პოზიციაა სწორი და ერთადერთი. რევოლუციონერ ოპონენტებს მაინც არ სურთ მისი მოსმენა, ამასთან, ეშმაკობენ კიდეც. „ფიდე კომერციის“ ხელმძღვანელმა თითქმის ომიც კი გამოუცხადა იმ ადამიანებს, რომლებიც მის მეთოდებს არ ეთანხმებიან და ტრადიციულ ტურნირებს აწყობენ (ვეიკ-ან-ზეეში, ლინარესში, დორტმუნდში). ამას ხომ ნამდვილი დისკუსია არა ჰქვია.





● ***რაშია ამ დისკუსიის არსი?***

— ჩემი აზრით, ჭადრაკს კუთხეში ამწყვდევენ, თუ საერთოდ უფსკრულისკენ არ უბიძგებენ. ეს პროცესი, ჭადრაკის წმინდა წყლის სპორტად გადაქცევისა, შეიძლება შეუჩერებელიც კი გამოდგეს. ჭადრაკი დაკარგავს თავის განსაკუთრებულობას, აღარ იქნება კულტურული მოვლენა და სპორტის ერთ-ერთი მეორეხარისხოვან სახეობად გადაიქცევა. ჩვენთვის ამას არავითარი აზრი არა აქვს. — ჩვენ სადმე ფული უნდა ვიშოვოთ. აი, ჭადრაკი რომ სპორტის ოლიმპიური სახეობა გახდეს, მაშინ ფული გვექნება. — გააჩნია, რა თანხის მიღების იმედი შეიძლება გვქონდეს, რა ფასად დაგვიჯდება მისი მოპოვება. აი, ოლიმპიადისკენ კი დავიძარით, მაგრამ ამ მხრივ განა ვინმე განსაკუთრებული სპონსორი მოვნახეთ? აი, ილიუმჟინოვს რომ თავისი მილიონები კლასიკური ჭადრაკის განვითარების მიზნით დაეხარჯა და რევოლუციურ რეფორმატორობაზე ხელი აეღო, ცხადია, უკეთესი იქნებოდა. ფიდეს ახლანდელი პოლიტიკა კი მხოლოდ ამხნევებს მის ჩინოვნიკებსა და იმ მოჭადრაკეებს, რომლებიც რაიმე განსაკუთრებულ, არც შემოქმედებით, არც მატერიალურ, მიზნებს არ ისახავენ. თამაშისათვის განკუთვნილი დროის (7 საათიდან 4 საათამდე) უგუნური შემცირების შედეგი ისიც იქნება, რომ არც საჭადრაკო წიგნები დასჭირდება ვინმეს და არც ჟურნალები.

● ***ერთი სიტყვით, ისე გამოდის, რომ ჭადრაკი აღარც ხელოვნება და მეცნიერება იქნება, და ამასთან, ნამდვილ სპორტადაც ვერ იქცევა. ერთი სიტყვით, ყველაფერს დაკარგავს. არის კი რაიმე დადებითი წინადადება, გარდა გაფრთხილებისა, რომ საშიშროება ახლოვდება?***

— დღეს ჩვენ გვჭირდება მსოფლიო პირველობის ნორმალური გათამაშების სისტემა. არა სწრაფი ჭადრაკი, არამედ ნამდვილი, კლასიკურს რომ ვუწოდებთ. შეჯიბრება, რომელიც მსოფლიო პირველობაზე მატჩით უნდა დამთავრდეს.

● ***ხომ შეიძლება შემოგვეპასუხონ: თვით კრამნიკი რომ ყოველგვარი შერჩევის გარეშე გახდა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი და შემდეგ ჩემპიონიც...***

— დიახ, და მაშინვე განვაცხადე, რომ საჭიროა შესარჩევი სისტემის აღდგენა. ამავე დროს, მეც და კასპაროვსაც გვისაყვედურებენ, რომ ჩვენ ვმონაწილეობთ სწრაფი ჭადრაკის სისტემით გამართულ ტურნირებში. მე ასე ვუპასუხებდი: დიე, მოჭადრაკეებმა შეჯიბრებებში დროის ისეთი კონტროლით ითამაშონ, როგორც მათ ორგანიზატორები შესთავაზებენ. მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატი, მთავარი შეჯიბრება ჭადრაკის სამყაროში, ტრადიციული უნდა დარჩეს, როგორც იგი ტარდებოდა ამ ე.წ. „რეფორმებამდე“. (შესარჩევი ტურნირები, პრეტენდენტების ასპარეზობა, მატჩი მსოფლიო პირველობაზე). არავითარი დირექტიული და ვოლუნტარული ცვლილებები არ უნდა მოხდეს.

● ***ერთი სიტყვით, დიე, ყველაფერი გააკეთონ, რაც სურთ, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონობის გათამაშებას ნუ შეეხებიან?***

— თუ გნებავთ, ასე იყოს. მე კი მინდა იმ სარეველებს ვებრძოლოთ, რომლებიც ესოდენ მოედვნენ საჭადრაკო მინდვრებს.

# ხსოვნა კაცი, რომელმაც ისტორია შექმნა...

უფრო სწორად, სპორტის ისტორია და მეტად ზუსტად ერთ-ერთი უნიკალური სპორტის სახეობის, წყალბურთის ისტორია, იქ, სადღაც შორს, ამ სპორტისათვის უცხო მხარეში, უნიკალურ — კოლორიტულ ქუთაისში... მართლაც, ვინ იფიქრებდა 50-იან წლებში ყველგან და ყველასათვის ცნობილ სპორტულ ქალაქში ფეხბურთელთა, კალათბურთელთა და მოკრივეთა სამჭედლოში, მხოლოდ და მხოლოდ ერთი კაცის პირადი მონდომებით, შემართებით წყალბურთელები გაიზრდებოდნენ..., ეს კაცი, ეს დიდი პიროვნება, ბატონი დიმიტრი ხორავა გახლდათ... გუშინ, რომ დატოვა ამქვეყნიური ცხოვრება და მარადისობაში გადაინაცვლა...

სისხამ დილით მთელი ღამის ნამუშევარი, ურთულეს პოსტზე მთავარი მექანიკოსი ბრძანდებოდა (იმ დროისათვის საქართველოში ერთადერთი ქიმიური მრეწველობის გიგანტი ქუთაისის ლითოფონის ქარხანაში), სამუშაო ტანსაცმლის გამოუცვლელად, ახოვანი, მოხდენილი ახალგაზრდა, ნაღდი ძველებური კოლხური ტიპის ცისფერთვალება ვაჟკაცი, მდინარე რიონის სანაპიროს ჩაუყვებოდა... სწორედ იქ იყო წყალში „ჩაყრილი“, მისი მადანი პატარა ქუთაისელი ბიჭუნები — ქვეყანას დიდ წყალბურთელებად რომ მოუვლინა...

საოცარი სელექციონერი იყო და საოცარ ხერხებს ფლობდა ნიჭიერთა აღმოსაჩენად, ბიჭებს ჯერ შორიდან, ხიდიდან უთვალთვალებდა, ამა თუ იმ საცურაო „ბირჟებზე“ მოცურავეებს, შემდეგ ქვემოთ წყლის პირას ჩავიდოდა და... იქ იწყებოდა ის რიტუალები და პირველი სავარჯიშო ხერხების გაცნობა, დღემდე რომ შემორჩა მეხსიერებაში მის გაზრდილებს — სხვადასხვა თაობას, ჯერ საუბარი როგორი ჰქონდა — ძველ, კლასიკურ ქართველ პედაგოგებს, რომ შვენოდათ, ისეთი... ყოველგვარი აქცენტის — კუთხურობის გარეშე, დახვეწილი, ხავერდოვანი და ზუსტი გამოკვეთილი ხმით — მეტყველებით...

პირველი გაცნობა იქვე, რიონში პირველი გაკვეთილითვე იწყებოდა, ჩაყვინთვა-ამოყვინთვით, წყალზე წოლა თუ წყლიდან ამოხტომა... შემდეგ, იქვე მის აღმოჩენილებს თუ შერჩეულებს, დინჯად, აუჩქარებლად ოჯახის ამბებსაც გამოჰკითხავდა, სკოლაში სწავლაზე ჩამოუგდებდა ლაპარაკს და მათ გარეშეც ყველაფერს გადაამოწმებდა... მეტად დისციპლინირებული და ზნეობრივი კაცი — პიროვნება გახლდათ და მისთვის უცხო იყო, ყველაფერი უწესო... ამის შემდეგ უკვე თავის პირველ და მეორე სახლში, მის ქარხანაში, მის მეორე ოჯახში, მყუდრო, ლამაზ ეზოში მოთავსებულ პატარა ვიწრო ღია აუზში მიიყვანდა მომავალ აღსაზრდელებს, თვითონ მთელი ღამის უძინარს (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ), „მეორე სუნთქვა“ გაეხსნებოდა (სპორტული ტერმინი, რომ ვიხმაროთ) სამაგალითოდ წყალშიც ჩავიდოდა, ცურვის სტილსაც ანახებდა და შემდგომ ბურთსაც აუთამაშებდა ბიჭებს თვალწინ... ყველაფერი იცოდა, ყველაფერი განსაზღვრული ჰქონდა, ისეთი ალღო და ისეთი ხედვა, ისეთი პროფესიონალიზმი ჰქონდა, რომ თუ ბიჭს მომავალ წყალბურთელობას ვერ შეამჩნევდა, ზუსტად მიუთითებდა, რომელ სპორტში გამოდგებოდა... მიიყვანდა კიდეც, რეკომენდაციასაც მისცემდა მწვრთნელებთან და იქაც ყურადღებას მიაქცევდა თავის ადრინდელ რჩეულებს... სწორედ ასე, ამგვარად გაიზარდნენ შემდგომში დიდი ფეხბურთელები, მოჭიდავეები, კალათბურთელები თუ კიდევ ბევრი ცნობილი სპორტსმენი, დღემდე რომ არ დავიწყნიათ ის მადლი, რაც მათ აუზის წყალში დაანათლა დიმიტრი ხორავამ, სიყვარულით, რომ მიტუშა მასწავლებელს ან გრიგორიჩს ეძახდნენ, მისი ბიჭები. ის ბიჭები კი დღეს სახელოვანი ადამიანები არიან, თითოეული ჯერ თავის სპორტს, წყალბურთს ემსახურა და შემდგომში თავიანთ პროფესიონალურ საქმიანობაშიც გამოიჩინეს თავი. ესენია — გივი ჩიქვანაია, ოთარ მიმინოშვილი, მურთაზ გულედანი, მიხეილ გიორგაძე და სხვები.

საბჭოთა კავშირისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი წყალბურთში, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი დიმიტრი ხორავა იყო აგრეთვე საქართველოს ნაკრების წევრების აღმზრდელი ცურვაში, წყალში ხტომაში და არაერთი ცნობილი მწვრთნელის მასწავლებელი, მუდამ მრავალმხრივ შრომაში ჩაბმულს, საკუთარი ოჯახის შექმნა შეაგვიანდა.... შემდეგ კი, ისეთი მეუღლე შეირთო, ისეთი შვილები გაზარდა, რომ დღემდე სამაგალითონი არიან მისი აურაცხელი მოწაფეებისათვის და საამაყოა ქართველი საზოგადოებრიობისათვის.

ცხოვრება მისი უანგარო და პატიოსანი, სიკეთით და სიყვარულით სავსე, სახელი მისი უკვდავი — სამარადისო!

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი,
სპორტის წყალთა სახეობების ფედერაცია,
ქუთაისის სპორტული საზოგადოებრიობა

# მირიან შიხაშვილი



ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე მირიან შიხაშვილი.

წაიქცა ბერმუხა. თავზარი დაეცა ოჯახს, ახლობლებს, თანამშრომლებს. მართალი სიტყვა, ღირსეული საქმე დააკლდა ქვეყანას, ერთგული მუშაკი და ბრძენკაცი ფონდს, დინჯი და აუჩქარებელი, უზარმაზარი ცხოვრებისეული გამოცდილებისა და ასევე დიდი ინტელექტის მქონე ნამდვილი თბილისელი — თბილისს.

საუკეთესო პიროვნული თვისებებით გამოირჩეოდა ბატონი მირიანი. სასიამოვნო იყო მასთან საქმიანი ურთიერთობაცა და მეგობრობაც. სადაც კი უმუშავია ბატონ მირიანს, მათ შორის მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე, ყველაფერს აკეთებდა სპორტისა და სპორტსმენებისათვის. უსაზღვროდ უყვარდა ახალგაზრდები. ხშირად ამბობდა, მხოლოდ ჯანსაღი სულისა და სხეულის მქონენი გადაარჩენენო საქართველოს. მისი კეთილშობილება და თავმდაბლობა განაპირობებდა იმ საყოველთაო სიყვარულს, რომელსაც მისდამი ამჟღავნებდნენ ყველა მისი ყოფილი და ახლანდელი თანამშრომლები. ძალზედ გვიჭირს წარსულ დროში მისი სახელის მოხსენიება, მასთან განშორება. უსაზღვროა ჩვენი გულისტკივილი. ჩვენს მეხსიერებაში ბ-ნი მირიანი დარჩება, როგორც ერთგულებისა და სიკეთის, მეგობრობისა და კეთილშობილების სიმბოლო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

საქართველოს
სპორტის ეროვნული ფონდის
თანამშრომლები

პანაშვიდი 1,2. 06, 17 სთ. გამოსვენება 3.06, 15 სთ.
მისამართი: ი. აბაშიძის ქ. №37.



საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, პროფკავშირული სპორტსაზოგადოება „შევარდენი“, საქართველოს სპორტის ვეტერანთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 86 წლისა გარდაიცვალა ვეტერანი სპორტსმენი და სპორტის ღვაწლმოსილი მუშაკი

ზინაიდა რუხაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

პანაშვიდი 01.06, 17 სთ. გამოსვენება 2.06.15 სთ.
მისამართი დიდი დიღომი, პეტრიწის 15, I სად.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია ღრმა სამძიმარს უცხადებს ამავე აკადემიის რექტორს, პროფესორ ომარ გოგიაშვილს სიმამრის

მირიან შიხაშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს პროფესორ ომარ გოგიაშვილს სიმამრის

მირიან შიხაშვილის

გარდაცვალების გამო.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები





**1 ივნისი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი. ახალგაზრდული ნაკრები: საქართველო – იტალია (20.10, რეპორტაჟი ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონიდან), ***რუსთავი-2.*** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (15.20), ***ევრიკა.*** მსოფლიო სპორტი (10.45, 20.00). *ESPN*. ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (20.30), კალათბურთი. ნბა (23.00, 04.00, 06.30 პლეიოფი, პირდაპირი). *EUROSPORT*. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (11.30, 3.45), ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. როლან გაროსი (14.00, 23.00, 0.00, 2.45). მოტორბოლა. გრან-პრი (1.00). ***НТВ плюс футбол.*** კონფედერაციის თასი: ავსტრალიის ნაკრები – საფრანგეთის ნაკრები (12.55, 20.30), კორეის ნაკრები – მექსიკის ნაკრები (15.25, 23.10), საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (18.30), ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (19.45), ჰოლანდიის ჩემპიონატი (0.55), ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი. ასტანის სუპერტურნირი (14.50, 20.30), კიკბოქსინგი. პროფესიონალთა მატჩი (18.20), ტაილანდური კრივი (21.00).

**2 ივნისი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: საქართველო – იტალია (20.50, რეპორტაჟი ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონიდან), ***რუსთავი-2.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის საკვირაო მიმოხილვა (19.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (23.45), ***მე-9 არხი.*** „ევროპის სტადიონებზე“ (20.00). *ESPN*. კალათბურთი. ნბა (17.00, 17.30, 20.00), ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ბოსნია-ჰერცოგოვინა – ესპანეთი (23.30, პირდაპირი), *EUROSPORT*. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (11.30, 2.15), მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (13.00), ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. როლან გაროსი (14.00, 1.00), ფეხბურთი: იუნიორთა საერთაშორისო ტურნირი (23.00), მსოფლიო-2002 წლის ჩემპიონატის გზით (2.45), ***НТВ плюс футбол.*** კონფედერაციის თასი: კანადის ნაკრები – ბრაზილიის ნაკრები (12.55, 23.15), კამერუნის ნაკრები – იაპონიის ნაკრები (15.25), ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (17.25), მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები: ირლანდიის ნაკრები – პორტუგალიის ნაკრები (18.55), უკრაინის ნაკრები – ნორვეგიის ნაკრები (20.55). ჰოლანდიის ჩემპიონატი (1.00). ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა (4.00, 11.40), ჭადრაკი. ასტანის სუპერტურნირი (14.50), „ბილიარდის მეფეები“ (15.50), კრივი. „დიდი რინგი“ (20.00).

**3 ივნისი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საქართველო – ბულგარეთი (17.55, რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან), ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (19.20), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (23.30), ***მე-9 არხი.*** „ევროპის სტადიონებზე“ (11.15). *ESPN*. ფეხბურთი. მსოფლიო თასი: ბოსნია-ჰერცოგოვინა – ესპანეთი (19.00), კალათბურთი. ნბა. პლეი-ოფი (05.00, პირდაპირი). *EUROSPORT*. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (11.30, 0.30), ფეხბურთი. მსოფლიო 2002-ს გზით (12.00, 3.15), ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი (18.00, 23.00), ***НТВ плюс футбол.*** მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები: ირლანდიის ნაკრები – პორტუგალიის ნაკრები (13.15), უკრაინის ნაკრები – ნორვეგიის ნაკრები (17.25). საერთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში (1.20). ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი, ნბა (23.00, პლეიოფი), ტაილანდური კრივი (1.45).

# კროსვორდი № 42

**თარაზულად:** 6. ასპარეზობა, რომელიც ავლენს ჩემპიონს, 7. თბილისის „დინამოს“ ფეხბ. გუნდის ყოფილი კაპიტანი, 8. საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი — ფეხბურთელი, 9. მოჭადრაკე კრამლინგის სახელი, 12. ცნობილი იაპონელი ტანმოვარჯიშე ვაჟი — 1964 წლის ოლიმპ. ჩემპიონი, 13. სწრაფი ჭადრაკი, 14. ტბა თბილისში, 16. მძლეოსნობის იარაღი, 17. საქართველოს საფ. კლუბი, 20. ბულგარეთის ნაკრების ვეტერანი ფეხბურთელი — თავდამსხმელი, 22. ქუთაისის მორაგბეთა გუნდი, 23. სპორტული შეჯიბრება, როცა ყველა მონაწილე ერთმანეთს თითოჯერ ხვდება, 24. მოციგურავე როდნინას სახელი;

**შვეულად:** 1. ამერიკელი ოლ. ჩემპიონი ვაჟი ცურვაში, ცნობილი მსახიობი, 2. საფარიკაო იარაღი, 3. წარსულში სტუ-ს აბრევიატურა, 4. არგენტინის ნაკრების მეკარე, 5. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის ყოფილი რუსი მწვრთნელი, 6. ცხენოსნის ჩასაცმელი, 10. წარსულში ცნობილი ქართველი მოფარიკავე ვაჟი, 11. სპორტის ზამთრის სახეობა, 15. იტალიაში მოთამაშე არგენტინელი ვეტერანი ფეხბურთელი, 16. ინგლისელი ფეხბურთელი ლი... 18. ჩოგბურთში პარტიის ნაწილი, 19. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 21. გაფრთხილება ძიუდოში.





# №41 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 6. კლინსმანი, 7. „რომა“, 8. ფონტენი, 9. პრემიერ-ლიგა, 13. ისარი, 15. „ბარსელონა“, 17. სამბო, 18. მენოტი, 19. გაფრინდაშვილი.

**შვეულად:** 1. ბლატერი, 2. ტალი, 3. ბირთვი, 4. სვანი, 5. საფინი, 10. ლაინსმენი, 11. აკრობატი, 12. მესხი, 14. პარტია, 16. ნოდია.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ საგამომცემლო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი ჭოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.